# საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 20 ივლისი, 2010 წელი.

№134 (6500)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## შეუძლებელია, ბურჯანაძე-ალასანიას ტანდემი ოდესმე შედგეს!

2



„ჩვენ საერთოდ ამოვარდნილები ვართ კონტექსტიდან“



## რატომ ვკარგავთ ჩვენ კომფორტული მგზავრობის სიამოვნებას, სახელმწიფო ბიუჯეტი კი – ფულს?

7

## „საკონსტიტუციო კომისიის წევრები სააკაშვილის ლაქიები არიან“

2

## რას ნიშნავს ტერმინები „ოკუპაცია“, „მოდერნიზაცია“, „რუსეთთან მეზობრობა“ და ა. შ.?

3

## ტყეს ერთნაირად ემუქრება როგორც ბუნებრივი კატაკლიზმები, ისე საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი კლება

6

## კავკასიის რეგიონში ყველაზე დიდი აეროპორტის ამოქმედებას გვპირდებიან,

ანუ არაბებმა ფოთამდეც მიაღწიეს

4

## აზერბაიჯანთან ერთად კონფედერაციის მშენებლობა ბათუმიდან იწყება?..

8

## ვინ იქნება პასუხისმგებელი, თუ ვაქცინაცია მომავალში უშვილობას გამოიწვევს?

7



## გოგი ბუკიას მეოთხე მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში

12

## გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმტკიცეს, მალე გათავისუფლებას!



– სიმართლისთვის, სიკეთისთვის, საქართველოს კეთილდღეობისთვის დევნილ პიროვნებას, პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიას სულითა და გულით ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიმტკიცეს, ჭირთათმენას და მალე გათავისუფლებას.

მხნედ იყავით, ძვირფასო ვლადიმერ! – ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია! – სიმართლე და სიკეთე აუცილებლად გაიმარჯვებს!

ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები.

ბრიფინგი

# შეუძლებელია, ბურჯანაძე-ალასანიას ტანდემი ოდესმე შედგეს!

## „ჩვენ საერთოდ ამოვარდნილები ვართ კონტექსტიდან“



**საერთაშორისო თანამეგობრობის გააქტიურებასა და საქართველოში გახშირებულ ვიზიტებს არაერთგვაროვანი ვარაუდები მოჰყვა. მათ შორის ყველაზე სენსაციურია ვადის ამოწურვამდე მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში წაყვანა და საქართველოს პრეზიდენტად ნინო ბურჯანაძის მოყვანა, რაც თურმე დაახლოებით გვიან შემოდგომაზე უნდა მოხდეს. არადამაჯერებლად გამოიყურება ირაკლი ალასანიას პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარდგენაც. ამ ვარაუდების შეფასება ვთხოვეთ „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილს.**

„ყველა ასეთი გამოთქმა სრული გაუგებრობაა, — აღნიშნა მან, — მეეჭვება, ოდესმე შესაძლებელი იყოს ბურჯანაძე-ალასანიას ტანდემი. ზოგადად ალასანიასთვის პოლიტიკური სიკვდილი იქნება ქრისტიან-დემოკრატებთან გაერთიანება. ის, ვინც დღეს იბრალებს ლიდერობას, განწირულია, ხოლო ისინი, რომლებსაც სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში მოყვანაში მიუძღვით წვლილი, სულ ცოტა ბოდიშს მაინც უნდა იხდიდნენ ხალხის წინაშე. ამიტომ მას არავინ არსად არ წაიყვანს“...

შაშიაშვილმა გუშინდელი ბრიფინგი თავის ვიზიტებს მიუძღვნა ბალტიისპირეთში, უკრაინასა და რუსეთში.

„9-10 ივლისს კიევში გახლკასთან დაპირისპირება. ჩვენი ვალია ყველა ქვეყანასთან მეგობრობა ქართული ინტერესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრინციპების პატივისცემით“, — ამბობს თემურ შაშიაშვილი. მას ხალხებს შორის ნდობის აღდგენის იმედი ბალტიისპირეთში, უკრაინაში, ბელორუსიასა და რუსეთში დაგეგმილმა შეხვედრებმა გაუმყარეს. განსაკუთრებით გამოარჩევს სანკტ-პეტერბურგში გამართულ ოს ხალხთან შეხვედრას და გოჩა ძასოხოვისა და ვალერი გერგიევის მიერ წარმოდგენილ ხედვებს. ერთს „საქართველო გაბრწყინდება“ ჰქვია, მეორეს „საქართველოს ხალხი მშვიდობიანი ცხოვრების ღირსია“. ორივე მასალა „თეთრების“ ვებგვერზეა განთავსებული.

შაშიაშვილი დარწმუნებულია, რომ მსგავსი კეთილგანწყობა დადებით ემოციებს არც ცხინვალის ოფიციოზში გამოიწვევს და არც თბილისში, მაგრამ მთავარია, რომ ხალხებს შორის ურთიერთგაგებას ასე წვეთ-წვეთობით ეყრება საფუძველი.

რაც შეეხება უცხოელთა გახშირებულ ვიზიტებს, „თეთრების“ ლიდერის თქმით, ეს ყველაფერი საკუთარი ქვეყნების შიდადაძაბულობის განსამუხტავად უფრო კეთდება, ვიდრე საქართველოსთვის. ამერიკაში დიდი დაპირისპირებაა რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის. დაძაბულობაა საფრანგეთშიც. „მსოფლიო კრიზისმა მწარე გაკ



დით, როცა სააკაშვილი დაუპატიჟებლად ეწვია უკრაინის პრეზიდენტს დაბადების დღეზე და უნდა გენახათ, რა თავისმომჭრელი, სამარცხვინო გამოხმაურებები იყო პრესაში ჩვენი ქვეყნის მეთაურისთვის“, — აღნიშნა „თეთრების“ ლიდერმა. მისი თქმით, სააკაშვილი უცხოურ მედიაში რუსეთის კულტურასა და რუს ხალხზე ისეთი კეთილგანწყობით საუბრობს, როგორც არავინ, საქართველოში კი უშვერი ლანძღვა-გინებით ქართულ აუდიტორიას ერგება და ჰგონია, ამით ქულებს იწერს.

**„ძნელია, მოძებნო ქვეყანა, ვენესუელისა და საქართველოს გარდა, რომელთა პრეზიდენტები — ჩავესი და სააკაშვილი, ასე ახერხებდნენ საკუთარი ქვეყნის სხვა ქვეყნის ინტერესებთან დაჯახებას. ქართული საქმე არც რუსეთის ძებაა და არც რუსეთის ლანძღვა, არც ამერიკის ფეხქვეშ გაგება და არც ამერიკასთან დაპირისპირება.**

ვეთილი აჩვენა ბევრ ქვეყანას. საჯარო მოხელეთა შტატები და ხელფასები შეამცირეს გერმანიაში, იგივე ხდება ესპანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში, ბრიტანეთის დედოფალი თავის ერთ-ერთ სასახლესაც კი ჰყიდის, ამ დროს საქართველოში პირიქით ხდება. აქ მშენებლობების ბუმია, ჩვენ საერთოდ ამოვარდნილები ვართ კონტექსტიდან“, — ასე ხსნის ამ ფაქტს ოპოზიციონერი.

**მისი თქმით, ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი არ მიდის და არც პოლიტიკური ძალა არსებობს. საქართველოს სრულიად სხვა კონფიგურაციის ძალა სჭირდება. ამ ხარვეზის გამოსწორებას „თეთრები“ შემოდგომის დასაწყისში შეეცდებიან, მათ დაგეგმილ დიდ ყრილობაზე, სადაც პოლიტიკური მოძრაობა თავისი სამოქმედო პროგრამით წარსდგება...**

**ნია ფიფია**

ოპოზიცია

**ოპოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებებს აპროტესტებს. გუშინ მან სპეციალური განცხადებაც გაავრცელა, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ახალი კონსტიტუციის დაჩქარებული წესით დამტკიცება დაუშვებელია.**

„ხელისუფლება დაჩქარებული ტემპით აპირებს ქვეყნის კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებას — ივლისის ბოლოს კანონპროექტის ინიცირებას, აგვისტოში ერთთვიანი ფორმალური „საერთო-სახალხო განხილვის“ ორგანიზებას, ხოლო სექტემბერში — ერთპარტიული საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე პარლამენტის მიერ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებას. დემოკრატიულ სახელმწიფოებში კი კონსტიტუცია პოლიტიკურ ძალთა და საზოგადოების ჯგუფების მაქსიმალური თანხმობით შემუშავებულ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელსაც დემოკრატიული გზით არჩეული მრავალპარტიული პარლამენტი ამტკიცებს“, — მითითებულია განცხადებაში.

ოპოზიციის შეფასებით, კონსტიტუციის ძირეული შეცვლა ახალ, სამართლიან საარჩევნო გარემოში არჩეულმა და ამომრჩეველთა ნდობით აღჭურვილმა პარლამენტმა უნდა განახორციელოს. მიხეილ სააკაშვილი კი ახალ კონსტიტუციას საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის იყენებს, რომელიც ვერ გახდება ქართული სახელმწიფოს, საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისა და სტაბილურობის გარანტი.

„საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებამ რეალურად უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნა და საქართველოს სტაბილურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ამ ამოცანის მიღწევას კი კონსტიტუციის ძირითად პრინციპებზე ფართო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეთანხმებაში ვხედავთ, საერთო სახალხო განხილვის შედეგად. „მზად ვართ ხელი შევუწყოთ ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესის წარმართვას ქვეყანაში“, — ვკითხულობთ განცხადებაში.

განცხადების ტექსტს ხელს „ახალი მემარჯვენეები“, „ეროვნული ფორუმი“, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“, კონსერვატიული პარტია, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, რესპუბლიკური პარტია, „საქართველოს გზა“, „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“ და ხალხის პარტია აწერენ.

## კახაბერ ძაგანია:

# საკონსტიტუციო კომისიის წევრები სააკაშვილის ლაქიები არიან






კონსტიტუციის ახალი საბაზისო პროექტის შესაძლო დამტკიცებასთან დაკავშირებით პროტესტი ლეიბორისტულმა პარტიამაც გამოთქვა. პარტიაში ფიქრობენ, რომ საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ძალაუფლების გახანგრძლივებისთვის სჭირდება.

როგორც გუშინ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, არალეგიტიმური სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია აპირებს, დაჩქარებული წესით საქართველოს კონსტიტუციის ახალი ვარიანტი დაამტკიცოს, რითაც დიქტატორ სააკაშვილს საშუალება ეძლევა, ერთპიროვნულად მართოს ქვეყანა პრემიერ-მინისტრის რანგში.

იმ შემთხვევაში, თუ მოახერხებენ და მაინც მიიღებენ სააკაშვილისეულ კონსტიტუციას, მაშინ რჩება ერთადერთი გზა — ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო აქციები უნდა დაიწყოს, რომლის უფლებასაც ხალხს მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპები და საერთაშორისო სამართალი აძლევს. ლეიბორისტებს მიაჩნიათ, რომ თუკი ახალი კონსტიტუციის არსებული მოდელი ძალაში შევა, საზოგადოება აუცილებლად მოითხოვს მის შეჩერებას. ლეიბორისტული პარტია კი ყველა საპროტესტო აქციის ავანგარდში მოექცევა.

— კონსტიტუციის ახალი ვარიანტი ქვეყანაში დიქტატურის დამყარების აშკარა მცდელობაა, რომელსაც ქართველი ხალხი არასდროს შეეგუებია და არც ახლა შეეგუება, — განაცხადა ძაგანიამ.

გუშინდელ ბრიფინგზე ლეიბორისტულმა პარტიამ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ყველა წევრის სია გამოაქვეყნა და მათ მიხეილ სააკაშვილის ლაქიები უწოდა. რა თქმა უნდა, ლეიბორისტების კრიტიკა არ ეხება კომისიის იმ წევრებს, რომლებიც მხარს არ დაუჭერენ არსებულ კონსტიტუციურ ცვლილებებს.

**ანა წიწილაშვილი**

პრეზიდენტი

# მიხეილ სააკაშვილი „მაკდონალდსის“ სახე გახდა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში „მაკდონალდსის“ ახალი შენობა გახსნა.**

**პრეზიდენტი „მაკდონალდსში“ მეუღლესთან, სანდრა ელისაბედ რულოვსთან ერთად იმყოფებოდა, რომლებმაც ბიზნესმენ თემურ ჭყონიასთან ერთად მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს უმასპინძლეს.**

— ახალგაზრდობა ევროპაში იწყებს მუშაობას სწორედ ასეთი ობიექტებით. აქ იწყება შრომის აკადემია, — განაცხადა პრეზიდენტმა და აქვე დასძინა, რომ ქუთაისის მოსახლეობა სავაჭრო ცენტრების და მსგავსი დაწესებულებების გახსნით ცდილობს, ევროპის ცხოვრების დონეს დაუახლოვდეს.

— მე იმედი მაქვს, რომ მთელი ქუთაისი ახლა ამ „მაკდონალდსში“ ივლის, — აღნიშნა სააკაშვილმა.

ქუთაისში ახალი „მაკდონალდსის“ მშენებლობა 2 მლნ ლარი დაჯდა და მასში ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული.

„მაკდონალდსის“ ახალი შენობის გახსნის შემდეგ პრეზიდენტმა ქუთაისის ოპერის თეატრი და პარლამენტის მშენებარე შენობა მოინახულა.

**ჯი-ეიჩ-ენი**





თვალსაზრისი

# კლინტონის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები ევროპაში გაიგეს და ახლა იგი ცდილობს, ვაშინგტონს არ ჩამორჩეს

***საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და სხვადასხვა ქვეყნის მაღალჩინოსანთა თბილისში გახშირებული ვიზიტების მიზეზებსა და სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.***



**— ბატონო ზურაბ, რას შეიძლება უკავშირდებოდეს საქართველოს მიმართ საერთაშორისო თანამეგობრობის გააქტიურება? რა შედეგებს შეიძლება ველოდოთ კლინტონის, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტის, პოლონეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებისა და ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების კომისრის თბილისში ვიზიტებისაგან?**

— მე გამოვყოფდი სამ ფაქტორს. პირველი ეს გახლავთ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტი და თეთრი სახლის მიერ ჩამოყალიბებული პოზიცია საქართველოში არსეის, რომ ეს ვიზიტები უსათუოდ წაადგება საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოზიციების გაძლიერებას, უდავოა.

გარდა ამისა, ახალ ეტაპს უახლოვდება ჩვენი თანამშრომლობა ევროკავშირთან „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში. მხედველობაში მაქვს ასოცირებული ხელშეკრულებისთვის მზადების პროცესი. ამ კონტექსტში ბევრი საკითხია განსახილველი: თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სავიზო რეჟიმის გამარტივება და სხვა. ეს სერიოზული თემებია.

**— ბატონმა კუშნერმა საქართველოს მხარდამჭერი სასიამოვნო განცხადებები კი გააკეთა, მაგრამ მის განცხადებებს თუ კარგად გავაანალიზებთ, პარიზის მთავარი გზავნილები დაახლოებით ასე გამოიყურება — დემოკრატიას მიხედეთ, ტერმინ „ოკუპაციის“ ხმარებით საქმეს ვერ უშველით, ვწუხვარ, მაგრამ რუსეთს უნდა დაელაპარაკოთ. როგორ შეაფასებდით პარიზიდან თბილისში ჩამოტანილ მთავარ გზავნილებს?**

— პირადად მე, არ შემხვედრია არც ერთი ევროპელი ან ამერიკელი პოლიტიკოსი და დიპლომატი, რომელიც წლების მანძილზე არ გვირჩევდა რუსეთთან დიალოგის წარმოებას და პრობლემების მოგვარებას. ასე რომ, ამ თვალსაზრისით ბატონი კუშნერი გამონაკლისი ნამდვილად არ არის. იგი სიტყვა „ვწუხვარს“ იმიტომ ხმარობს, რომ კარგად ესმის, რამდენად მტკივნეულია ჩვენთვის, 2008 წლის შემდეგ, რუსეთთან დიალოგის თემა. ის რომ, რაღაც ეტაპზე საჭირო იქნება რუსეთთან დიალოგის გამართვა, ამაში ახალი არაფერია. იმის გათვალისწინებით, რომ დიალოგზე ჯერჯერობით თავს რუსული მხარე იკავებს, ბატონი კუშნერი რეცეპტს ვერ იძლევა თუ როგორ უნდა გაიმართოს ეს დიალოგი. თუმცა, მაინც მიანიშნა, რომ საფრანგეთი დიალოგის დაწყებაში დაგვეხმარება და მხარს დაგვიჭერს. ასეთია კუშნერის ზოგადი ფორმულა.

რაც შეეხება დემოკრატიას, აქაც პრინციპში განსაკუთრებით ახალი არაფერი არ უნდა იყოს. ის რომ დემოკრატია არის პრინციპული მოთხოვნა ევროკავშირისა რათა ჩვენ რეალურ პროგრესს მივაღწიოთ მათთან თანამშრომლობაში, რა თქმა უნდა, ამ კუთხით, ქვეყნის შიგნით, ძალიან ბევრი პრობლემის მოგვარება გვჭირდება.

**— დარჩა შთაბეჭდილება, რომ ბატონი კუშნერი მის მიერ გაკეთებული განცხადებით — „ტერმინ „ოკუპაციის“ ხმარებით საქმეს ვერ უშველით“, თითქოს გამოეხმაურა კიდეც ქალბატონ კლინტონის თბილისში გაკეთებულ განცხადებას...**

— შესაძლოა იმიტომაც გამოეხმაურა რომ, ჩვენ ცოტა გაზვიადება ვიცით ხოლმე ყველაფრის. ვფიქრობთ, რადგან ითქვა ტერმინი „ოკუპაცია“, ამას აუცილებლად უნდა მოჰყვეს პრაქტიკული ნაბიჯები. მან შეგვახსენა, რომ რაც ითქვა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ, ეს ტერმინი აუცილებლად ითარგმნება პრობლემის მოგვარების დინამიკაში. ჩვენ მარტო ტერმინის არსებობით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და არ ვიფიქროთ, რომ საქმე გაკეთებულია. ჩვენი თვითმიზანი არ არის ტერმინის გაჩენა. მთავარია, ამ ტერმინმა იმუშაოს

ბულ ვითარებასთან დაკავშირებით, ასევე იმის თაობაზე, თუ რა მოხდა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში. იმ ტერმინებს, რომლებსაც ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ამ ორ მოვლენასთან დაკავშირებით ამკვიდრებს („ოკუპაცია“ და „სამხედრო შემოჭრა“ძ სამართლებრივი თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, რომ კლინტონის ვიზიტმა საქართველოში ბიძგი მისცა ევროპელებს, რომ მათაც გააქტიურონ თავიანთი პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში. კლინტონის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები ევროპაში გაიგეს და ახლა ევროპა ცდილობს არ ჩამორჩეს ვაშინგტონს.

ევროკავშირმა ძალიან სერიოზული როლი შეასრულა აგვისტოს ომის დროს და მას შემდგომ, როცა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებელთა დიდი მისიის გამოგზავნის შესახებ, გამოიყო ფინანსური რესურსები და მიიღო შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით, გარკვეულწილად საქართველო ევროკავშირის პროექტადაც შეიძლება ჩაითვალოს. შესაძლოა, საქართველოსადმი ინტერესი იმითაც იყოს განპირობებული, რომ ომის შემდგომ ორი წელი გავიდა და რაიმე ხელშესახები შედეგი მიღწეული არ არის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშიც გაკეთდა განცხადებები, რომლებიც, რა თქმა უნდა, დასავლეთშიც მოისმინეს. შეიძლება ეს განცხადებები დასავლეთში ახალ ელემენტად ჩათვალეს. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ამ მიმართულებით დიპლომატიურ წრეებში კულუალური მოძრაობებიც იყოს და მხარეებმა გარკვეული სიგნალები უკვე გაცვალეს კიდეც. ეს სამი ფაქტორი შეიძლება იყოს საქართველოსადმი საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესის ზრდის საფუძველი. შედეგებზე საუბარი ჯერ რთულია, მაგრამ და კონფლიქტების მოგვარებაში პროგრესი იქნას მიღწეული.

**— პრეზიდენტმა მედვედევმა დიპლომატიურ კორპუსთან გამართულ შეხვედრაზე დასავლეთი და აშშ რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორებად გამოაცხადა, ქვეყნის დღის წესრიგის უპირველეს ამოცანად რუსეთის დასავლურ ყაიდაზე მოდერნიზაცია დაასახელა. რამდენად სერიოზულად უნდა ჩაითვალოს რუსეთის საგარეო ორიენტირებთან დაკავშირებით გაკეთებული მედვედევის განცხადებები და რა გავლენას იქონიებს საქართველოზე რუსეთის დასავლური არჩევანი?**

— სიტყვა „მოდერნიზაცია“ პრეზიდენტ მედვედევის საკრალურ ტერმინად იქცა. ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც მედვედევის ინიციატივით დაფუძნებულმა რუსეთის „თანამედროვე განვითარების ინსტიტუტმა“ გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ რუსეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს სერიოზული რეფორმები და მოახდინოს ქვეყნის მოდერნიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი 10-15 წლის შემდეგ მეორე ან სულაც მეათეხარისხოვან ქვეყნად იქცევა.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ საჭიროა სტრატეგიული თანამშრომლობა და პარტნიორობა დასავლეთის წამყვან ქვეყნებთან, აშშ-სთან, ევროკავშირთან. ისიც კი იყო ნათქვამი, რომ რუსეთი ნატოში უნდა გაწევრდეს. ამის შემდგომ არ გასულა ორი-სამი თვე, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ (როგორც ჩანს, პრეზიდენტის მითითებითძ გამოაქვეყნა საგარეო პოლიტიკის ახალი ხედვები, სადაც დასავლეთთან თანამშრომლობა ქვეყნის მოდერნიზაციის კუთხით ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად არის მიჩნეული.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## არაბებმა „ახტალას“ დაადგეს თვალი

**გურჯაანში** მდებარე კურორტი „ახტალა“, რომელიც საქართველოში ტალახით სამკურნალო ერთადერთი კურორტია, შესაძლოა, არაბებმა შეიძინონ. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, არაბი ინვესტორების ვიზიტი გურჯაანში ამ დღეებში იგეგმება.

ს/ს კურორტ „ახტალის“ დირექტორი გოგა უტიაშვილი კურორტის გასხვისებას არ გამორიცხავს. მისი თქმით, ინვესტიციის განხორციელება აუცილებელიც არის. კურორტი „ახტალა“ ამ დრომდე სახელმწიფო საკუთრებაშია.

ახტალა ფსევდოვულკანური ტალახის საბადოა. ახტალის ტალახს მრავალგზის სამკურნალო თვისებები გააჩნია. ამ უნიკალური თვისებების გამო ახტალაზე 1924 წელს აშენდა ტალახის სამკურნალო კოტეჯები. 1931-1932 წლებში აგებულ იქნა სანატორიუმი, ხოლო 1935 წელს ამ კომპლექსს დაემატა ორსართულიანი პოლიკლინიკა.

შეგახსენებთ, რომ ახტალის სანატორიუმში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები, კურორტის ადმინისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე, პოლიციამ გასულ კვირას იძულებითი წესით გაასახლა.

## ცამეტი ლიცენზიიდან მხოლოდ ერთი გასხვისდა

**ეკონომიკისა** და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აუქციონზე გამოტანილი გრძელვადიანი ტყითსარგებლობისთვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური 13 ლინცენზიიდან მხოლოდ ერთის გასხვისება მოახერხა.

გუშინ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში გრძელვადიანი ტყითსარგებლობისთვის (ლიცენზიის მოქმედების ვადა: 10 წელი) ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონი გაიმართა.

აუქციონი გამოცხადდა 13 ლოტზე, მათ შორის 12 ლოტზე სამინისტროში განაცხადი არ შემოსულა, გაიყიდა მხოლოდ ერთი ობიექტის ლიცენზია: სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, ადიგენის სატყეო უბანი, ღალვის, კეხოვანის და კურცხანას ყოფილი სატყეოები.

მთლიანი ფართობი 11 356 ჰა, ყოველწლიურად ასათვისებელი პროგნოზული ლიკვიდური მარაგი 10 000 კუბ.მ. (6 500 — მასალა, 3 500 — შეშა), გასაყიდი ფასი 828 097 ლარი. შეიძინა შპს „ახალციხის შპალ-საჟღენთმა ქარხანამ“.

## ყალბისმქნელები ფულის მიღების დროს დააკავეს

**განსაკუთრებით** დიდი ოდენობის თანხის ღირებულების პროდუქციაზე გამოწერილი ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრმლებმა დააკავეს შპს „გიორგი-ლაშას“ დირექტორი მადონა თურმანიძე, შპს „დორო“-ის დირექტორი როსტომ დონაძე და საქართველოს მოქალაქეები: რომან ფაჩულია, კობა მაისურაძე და ფრიდონ აბესაძე.

აგრეთვე დაკავებულია დოკუმენტაციის გაყალბებაში ეჭვმიტანილთა მეორე ჯგუფის წევრები: ვასილ ქველიძე და ზურაბ ბოჭორიშვილი.

სამართალდამცველთა მონაცემებით, ორივე ჯგუფის მიერ ინდივიდუალური მოქმედების შედეგად დამზადებულია ყალბი სასაქონლო ზედნადებები დაახლოებით 200 000 ლარის ღირებულების პროდუქციაზე, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვლოვანი მატერიალური ზიანი მიადგა.

ქველიძე და ბოჭორიშვილი კი სხვა ინდ.მეწარმის სახელით მოქმედებდნენ და მისი სახელით ახდენდნენ ყალბი ზედნადებების დამზადება-გასაღებას. მათი ე. წ. „გასამრჯელო“ ყალბ დოკუმენტაციაში მითითებული თანხის 12 %-ს შეადგენდა.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ორივე ორგანიზებული ჯგუფის წევრები უშუალოდ თანხის მიღების დროს დააკავეს.

მიმიდნარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით.

## ტარიელ ონიანი ადამიანის გამტაცებლად სცნეს

**მოსკოვის ხამოვნიჩესკის** სასამართლომ ტარიელ ონიანი ადამიანის გატაცებაში ბრალდებულად სცნო. ონიანი პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კრიმინალურ ავტორიტეტად მიიჩნევა.

რუსული მედიის ინფორმაციით, ბრალდებულთა დაცვა არ დაეთანხმა პროკურორისა და დაზარალებულების დასკვნებს და სასამართლოს საქმესთან შეუსაბამობაში მყოფი ახალი მტკიცებულებები წარმოადგინა. დაცვის ვერსიით, აბუთიძე მანაგაძის მხრიდან თაღლითობის მსხვერპლი გახდა, ხოლო ონიანს აბუთიძესა და მანაგაძეს შორის არსებულ ურთიერთობებში მონაწილეობა არ მიუღია. ამიტომაც იგი ბრალდებულის სკამზე შემთხვევით აღმოჩნდა.

გამოძიების ვერსიით, ტარიელ ონიანმა რამდენიმე თანამონაწილესთან ერთად 2009 წლის 18 მარტს სმოლენსკის მოედნიდან მოსკოველი ბიზნესმენი გაიტაცა. იგი ერთ-ერთ რესტორანში მიიყვანეს და ონიანის ბრძანებით, ბეისბოლის ბიტით სასტიკად გალახეს.

გამოძიება ასევე ამტკიცებს, რომ ონიანმა და აბუთიძემ ბიზნესმენის ნათესავებს მის გათავისუფლებაში 500 ათასი აშშ დოლარი მოსთხოვეს. როგორც გამოძიებამ დაადგინა გატაცებულს გატაცების შემდეგ სპეციალურად ამისათვის დაქირავებულ ბინაში სამი დღის განმავლობაში ამყოფებდნენ.

გამოძიება ასევე მიიჩნევს, რომ გამოსასყიდის ნაწილის 218 ათასი აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ მძევალი 2009 წლის 21 მარტს გაათავისუფლეს. თუმცა დარჩენილი თანხის გადახდა სრულად მოსთხოვეს. რის შემდეგაც დაზარალებულმა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა. დამნაშავეები მალევე დააკავეს.

ჯი-ეიჩ-ენი

ეკონომიკა

# ვითომ უთიზოდ გავფრინდებით?



## კავკასიის რეგიონში ყველაზე დიდი აეროპორტი 2013 წელს საქართველოში ამოქმედდება

**კავკასიის რეგიონში ყველაზე დიდი აეროპორტი 2013 წელს საქართველოში ამოქმედდება. არაბული კომპანია „RAK Investment Authority Georgia" ქართულ აეროპორტს ქალაქ ფოთში ააშენებს. აღნიშნული მასშტაბური მშენებლობა სამ წელიწადში დამთავრდება.**

როგორც „პირველს" კომპანია „RAK Investment Authority Georgia"-ში განუცხადეს, ქალაქ ფოთის მერიასა და „რაკია საქართველოს" შორის ფოთის აეროპორტის აქციების ნასყიდობაზე ხელშეკრულება მიმდინარე წლის მაისში გაფორმდა.

„2010 წლის მაისში ქალაქ ფოთის მერიასა და „რაკია საქართველოს" შორის ფოთის აეროპორტის აქციების ნასყიდობაზე გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ივლისის დასაწყისში „რაკია საქართველომ" ფოთის აეროპორტის აქციათა 98.26% 1 მლნ 995 ათას ლარად შეიძინა", – განუცხადეს „პირველს" კომპანიაში.

მათივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე მუშაობა ახალი აეროპორტის პროექტზე და პარალელურად, არსებული აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ნიადაგის კვლევით სამუშაოებზე მიმდინარეობს.

„ხელშეკრულების თანახმად, დაგეგმილია ასაფრენი ბილიკის შესაბამისი სტანდარტების მიხედვით გაფართოება და აეროპორტის ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა. პირველ ეტაპზე, ინვესტორი დაახლოებით 10 მილიონი დოლარის ინვესტიციას გეგმავს", – განუცხადეს „პირველს" „რაკია საქართველოში" და დასძინეს, რომ ფოთის აეროპორტის მშენებლობა 2013 წელს დასრულდება და იგი თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

რამდენი ადამიანი დასაქმდება აეროპორტის მშენებლობაზე და რამდენად გამოიყენებს არაბული კომპანია ადგილობრივ მუშახელს, ამ დროისთვის უცნობია.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს ფოთის აეროპორტის დაჩქარებულ ვადებში აშენება სურს. მან აეროპორტის ექსპლუატაციაში შესვლის დროდ წელიწადნახევარი ჯერ კიდევ 2009 წელს დაასახელა, თუმცა ფაქტია, რომ ფოთის ახალი აეროპორტის მშენებლობა 2013 წლამდე ვერ დასრულდება.

ქართველი ექსპერტები, საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, ამ პროექტის განხორციელებას ეჭვის თვალით უყურებენ. მათი მტკიცებით, თუ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არ ამოქმედდა, აეროპორტი უფუნქციოდ დარჩება.

**„იმ შემთხვევაში, თუ ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა რეალურად შეიქმნება და განვითარდება, ფოთის აეროპორტი უდაოდ საინტერესო პროექტი იქნება, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან, ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა ისეთივე რიტორიკაა, როგორც ხელისუფლების სხვა დაპირება. შესაბამისად, თუ ფოთის თიზ-ი არ განვითარდა, აეროპორტის მშენებლობით ქვეყანა სარგებელს ვერ მიიღებს და მას არანაირი ფუნქცია არ ექნება",** – განუცხადა „პირველს" ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილმა.



ამასთან, ექსპერტმა ყურადღება აეროპორტის უცხოელებისთვის, კერძოდ, არაბებისთვის მიყიდვაზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ მსგავსი სერიოზული ობიექტების უცხოელისთვის მიყიდვა ყოველთვის სარისკოა.

**– ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტის, როგორიც ფოთის აეროპორტია, არაბებისთვის მიყიდვა სწორი საქციელი არაა, რადგან რა გარანტია გვაქვს, რომ დროთა განმავლობაში არაბები აეროპორტს სხვაზე, თუნდაც რუსებზე არ გაასხვისებენ?! ამიტომ ხელისუფლების სახელმწიფო პოლიტიკა უფრო ფრთხილი და გააზრებული უნდა იყოს",** – აღნიშნა ხუხაშვილმა.

ზოგადად, ფოთის აეროპორტის გასხვისებას დადებითად აფასებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაიაც, თუმცა ხუხაშვილის მსგავსად, აეროპორტის ფუნქციას ისიც მხოლოდ ფოთის თიზ-ის ამოქმედების შემთხვევაში ხედავს.

**„რეალურად, ფოთში აეროპორტი არც იყო, ამიტომ ხელისუფლებამ ფაქტობრივად ცარიელი ტერიტორია გაყიდა და თუ ვინმე იქ ინვესტიციას ჩადებს, ალბათ მადლობა უნდა ვუთხრათ და ტაში დავუკრათ. პროექტის განხორცილების შემთხვევაში ბათუმის, სენაკის და კოპიტნარის აეროპორტებს რეგიონში ფოთის აეროპორტიც დაემატება. ფოთის აეროპორტს მნიშვნელოვანი ფუნქცია კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ფოთის თიზ-ი ამოქმედდება და ამის მაგალითს დუბაი და დუბაის თიზ-ი წარმოადგენს",** – განუცხადა „პირველს" ჯგერენაიამ.



ექსპერტთა შეფასებებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ფოთის აეროპორტის მნიშვნელობა ფოთის თიზ-ის განვითარების პირდაპირ პროპორციულია. ფოთის თიზ-ის შექმნაზე კი საქართველოს მთავრობა უკვე რამდენიმე წელია მუშაობს და მართალია, დარწუნებულია, რომ მისი შექმნით ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება, თუმცა ისევე, როგორც უმეტეს შემთხვევაში, მთავრობის აღნიშნულ პროექტს დასრულებული სახე ამ დრომდე არ მიუღია და ფოთის თიზ-ი ამ დრომდე არ გახსნილა.

დაზუსტებისათვის, არაბულმა კომპანიამ ფოთის აეროპორტის შესყიდვამდე 99-წლიანი სარგებლობით ფოთის ნავსადგური და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 300 ჰა მიწის ფართობი შეიძინა, რომელზეც სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა უნდა გაშენდეს.

**თელარა გელანტია**

თვალსაზრისი

# კლინტონის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები ევროპაში გაიგეს და ახლა იგი ცდილობს, ვაშინგტონს არ ჩამორჩეს

(მესამე გვერდიდან)

დიპლომატიურ კორპუსთან გამართულ შეხვედრაზე მედვედევმა ამ საკითხებზე კვლავ გაამახვილა ყურადღება. უნდა ვიფიქროთ, რომ მედვედევის ეს განცხადებები დასავლეთში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. დასავლეთში მოკრძალებულად, მაგრამ მაინც ხაზგასმით მხარს უჭერენ რუსეთის ასეთ მიდგომას და თვლიან, რომ თუკი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ასეთი მიმართულება გაიმარჯვებს, მაშინ დასავლეთისა და რუსეთის ერთობლივი ძალისხმევით ბევრი პრობლემის გადაწყვეტა იქნება შესაძლებელი. ამ კუთხით ჩვენ უნდა დავინახოთ საქართველოს პრობლემა და გამოვხატოთ ძალიან ფრთხილი ოპტიმიზმი იმის თაობაზე, რომ თუკი რუსეთი ამ გზით წავა, შეიძლება ეს ჩვენს საქმესაც დადებითად წაადგეს. მაგრამ, ვიმეორებ, ეს ჯერ მხოლოდ ფრთხილი ვარაუდი და ძალიან მოკრძალებული ოპტიმიზმია.

**– რამდენად სავარაუდოა, რომ რუსეთის დასავლეთისა და აშშ-სკენ შემობრუნების შემდეგ იგივე დასავლეთი და აშშ რუსეთს 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულებას უფრო დაჟინებით მოითხოვს?**

– უკვე ყველა დონეზე ითქვა, რომ ერთ-ერთი საკითხი, რაზეც აშშ და ევროკავშირი რუსეთთან ვერ თანხმდებიან, საქართველოს საკითხია. თუ ფრთხილი ოპტიმიზმის ლოგიკას მივყვებით, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა საქართველოსთან მიმართებაში გარკვეული კომპრომისული ნაბიჯები გადადგას. ჯერ ეს მხოლოდ ვარაუდია და ამგვარი დასკვნის გასაკეთებლად ჯერჯერობით არანაირი რეალური საფუძველი არა გვაქვს.

**– საინტერესოა, რომ წინა პერიოდში, მოდერნიზაციასა და რუსეთის დასავლური ორიენტაციის სასარგებლოდ მედვედევს განცხადებებს მყისიერად ეხმაურებოდა ხოლმე რუსეთის პრემიერ-მინისტრი პუტინი. ამჯერად ასე არ მომხდარა, მაგრამ ამ განცხადებების შემდეგ მინისტრ ლავროვის შეცვლის საკითხიც არ დამდგარა. რას შეიძლება ნიშნავდეს მოვლენათა ასეთი დინამიკა?**

– მეტსაც გეტყვით, კლინტონის თბილისში გაკეთებულ განცხადებას რუსეთიდან უპასუხა პრემიერ-მინისტრმა პუტინმა, რაც, პრინციპში, პრემიერ-მინისტრის კომპეტენცია არ გახლავთ. პუტინის მიერ გაკეთებელი განცხადება პრეზიდენტის გასაკეთებელი იყო და ამას ბევრმა დასავლეთშიც და არა მარტო დასავლეთში მიაქცია ყურადღება. პრეზიდენტ მედვედევს დასავლეთში რეფორმატორ სახელმწიფო მოღვაწედ, პუტინთან შედარებით კი უფრო ლიბერალურ და უნივერსალურ ფასეულობებზე ორიენტირებულ პოლიტიკოსად მიიჩნევენ. პუტინი წლების მანძილზე თავად აყალიბებდა მკაცრი, ავტოკრატიული ხელისუფლის იმიჯს, რომელიც დასავლეთთან კონფრონტაციულ ურთიერთობებში იმყოფება. ამიტომაცაა, რომ დასავლეთში მედვედევს რეფორმატორის, ხოლო პუტინს ავტოკრატის იმიჯი აქვს. არ არის გამორიცხული, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით პუტინი შეეცადოს თავისი იმიჯის მთლიანად თუ არა, ისეთი დოზით შეცვლას, რომ მის მიმართ დასავლეთს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გაუჩნდეს.

**– მედვედევმა დასავლეთზე ორიენტაციის აღებაზე განცხადებები კი გააკეთა, მაგრამ კიშინიოვმა როგორც კი აუწია მოსკოვთან საუბრის ტონს, ანუ რუსეთი ოკუპანტად გამოაცხადა, რუსეთის მთავარმა სანიტარმა ონიშენკომ მოლდავურ ღვინოში კვლავ პესტიციდების სიჭარბე აღმოაჩინა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ დასავლეთზე ორიენტაციის აღების მიუხედავად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებაში მოსკოვის პოლიტიკაში ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ?**

– თუკი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მოხდება ცვლილებები, რაც კიდევ ერთხელ ვამბობ, მხოლოდ ვარაუდია, ეს მოხდება ნელნელა, ეტაპობრივად და ალბათ, ეს დროში გაწელი პროცესი იქნება. ერთხელ, ასეთი შედარებაც კი მოვიტანე – რუსეთი ძალიან დიდი ხომალდია, რომელსაც ოკეანეში კურსის შესაცვლელად რამდენიმე ათეული კილომეტრის გავლა სჭირდება. რუსეთის საგარეო პოლიტიკაც ასეა, მას დიდი დრო და მანძილის გავლა დასჭირდება იმისათვის, რომ კურსი რეალურად შეიცვალოს.

ბატონი ონიშენკო ცნობილია იმით, რომ იგი მყისიერად ეხმაურება პოლიტიკურ კონიუნქტურას და როგორც კი ურჩი მეზობელი გამოჩნდება, ის იმ წუთში აღმოაჩენს პომიდორში, მსხალში, ვაშლში და ა.შ. პესტიციდებს და სხვა მომწამვლელ ნივთიერებებს.

**– ერთ კვირაზე მეტია, რაც გაზსადენის გაყიდვის საკითხი აქტუალური გახდა. ამ საკითხზე გამართულმა მსჯელობამ ცხადყო, რომ ხელისუფლებას გაზსადენის რუსეთისათვის სავარაუდო გასხვისებასთან დაკავშირებული არც საფრთხეები და არც ფინანსური საკითხები ბოლომდე გააზრებული არა აქვს. რას შეიძლება ნიშნავდეს გაზსადენის გასხვისებასთან დაკავშირებით დაჩქარებული წესით კანონში ცვლილებების შეტანა, ანაც აშშ-ს სიჩუმე? ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლება რუსეთთან სათანამშრომლოდ საკანონმდებლო დონეზე პოზიციებს ამზადებს?**

– პირადად მე ჯერ ვერ ჩამომიყალიბდა სრულყოფილი სურათი იმის თაობაზე, თუ რას აპირებს ხელისუფლება ამასთან დაკავშირებით. თავდაპირველად თქვეს, რომ არ აპირებენ გაყიდვას. შემდეგ ითქვა, რომ შეიძლება გაიყიდოს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ. თუ გაიყიდება, მხოლოდ 10-15% და ა. შ. ასე რომ, პირადად მე არა მაქვს ისეთი ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც დასკვნის გამოტანა შემეძლოს. შესაძლოა ამ თვალსაზრისით, ჩვენი უცხოელი კოლეგებიც ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. რაღაც რომ ხდება, ფაქტია. საზოგადოებაში რომ მწვავე უკმარისობის შეგრძნებაა არსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით და გარკვეული უნდობლობაც, ესეც ფაქტია. ალბათ, ამის თაობაზე დასავლელი პარტნიორებიც დასვამენ კითხვას და პასუხს მოითხოვენ.

**კობა ბენდელიანი**

ინფორმაცია

# ოკუპანტებმა ექვსი ქართველი დააკავეს

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის** ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობის გამო რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს მოქალაქეები დააკავეს.

„სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას ზნაურის რაიონის დასახლებულ პუნქტ ლოპანის რაიონში რუსეთის ფედერალური სამსახურის სასაზღვრო ძალების წარმომადგენლებმა საქართველოს მოქალაქეები დააკავეს.

სამხარაძე ალიკ იურის ძე, სამხარაძე ბესიკ იურის ძე, კალატოზიშვილი ნიკოლოზ შაქროს ძე, ლაბაძე რამაზ პეტრეს ძე, ლაბაძე იამზე პეტრეს ასული, ხომასურიძე ნარგიზა არსენის ასული – ისინი ცდილობდნენ ავტომობილით სამხრეთ ოსეთიდან ქარელის რაიონში საკონტროლო პუნქტის გვერდის ავლით გადასულიყვნენ, – იუწყება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი.

მათივე ინფორმაციით, დაკავებულები რუსმა ოკუპანტებმა ოს სეპარატისტებს გადასცეს.

– ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შემდეგ ქალები – ხომასურიძე ნარგიზა და ლაბაძე იამზე, რომელსაც საზღვრს გადაკვეთისას სამი წლის ბავშვიც ახლდა თან, გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს და ისინი ამჟამად სამხრეთ ოსეთში არსებულ თავის ნათესავებთან იმყოფებიან, – იუწყება ინფორმაციის კომიტეტი.

**ХИ-ЭЙБ-ЭНИ**

თვალსაზრისი

# მოსკოვმა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ვაჭრობა დაიწყო

***გვესაუბრება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემური ანალიზის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერიმუშაკი ანდრეი პიონტკოვსკი.***



**— ბატონო ანდრეი, რუსეთის დიპლომატიურ კორპუსთან გამართულ შეხვედრაზე პრეზიდენტ მედვედევის პროდასავლურმა და პროამერიკულმა განცხადებებმა ყველა გააკვირვა. ამ თვალსაზრისით, შესაძლოა მან გორბაჩოვსაც კი „გაუსწრო". თქვენი აზრით, რამდენად სერიოზულად უნდა აღვიქვათ ის, რაზეც მედვედევმა ისაუბრა?**

— ის, რაც ახლა ხდება, რუსეთის დასავლეთთან კონფრონტაციისა და შემდეგ დაახლოების მუდმივად განმეორებადი ციკლია. ამერიკაში მცხოვრებმა რუსმა და, იმავდროულად, ამერიკელმა ისტორიკოსმა და სოციოლოგმა ალექსანდრე იანოვმა რუსეთის ისტორიაში, ივანე მესამიდან მოყოლებული უკანასკნელ პერიოდამდე, ამგვარი, განმეორებადი 27 ციკლი დაითვალა. გეხსომებათ, დასავლეთთან ელცინისეული დაახლოება, შემდეგ პრიმაკოვის იმავე დასავლეთთან დაშორება, 2001 წელს აშშ-სთან პუტინის პირველი დაახლოება და „თაფლობის თვე", შემდეგ იყო პუტინის მიუნხენში გაკეთებული მოხსენება, რომელმაც დასავლეთთან კვლავ კონფრონტაცია გამოიწვია.

ეს ყველაფერი ერთი და იგივე მექანიზმით აიხსნება. რუსეთის მმართველებს უნდათ, დასავლეთისაგან მიიღონ ტექნოლოგიები, მაგრამ არ სურთ რუსეთში დამკვიდრებული მმართველობის სტილის შეცვლა. რუსეთის მმართველებს უნდათ, ისარგებლონ დასავლეთის ცივილიზაციის ნაყოფით, მაგრამ მათთვის მიუღებელია დასავლური ღირებულებები. უკანასკნელი 5 წელი დასავლეთთან რუსეთის ისტორიული კონფრონტაციის პერიოდი იყო, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ რუსეთი კვლავ „შიშველი უკანალით" დარჩა. რომ აუცილებელია ქვეყნის მოდერნიზაცია, დასავლური ტექნოლოგიები და ინვესტიციები, რისი მიღება რუსეთს მხოლოდ დასავლეთში შეუძლია.

სწორს ბრძანებთ, მედვედევმა დასავლეთთან დაახლოების თვალსაზრისით გაკეთებული განცხადებებით გორბაჩოვსაც კი გადააჭარბა. მაგრამ ჩვენ ამ თემაზე გვახსოვს როგორც გორბაჩოვის, ასევე ელცინისა და პუტინის განცხადებებიც. საქმე ის არის, რომ ყველა მათგანი ერთსა და იმავე შეცდომას უშვებდა. ყველა მათგანი ფიქრობდა, რომ თუ დასავლეთს ნაკლებად აგინებდა, სულ უფრო მეტად დაუახლოვდებოდა მას. არც ერთ მათგანს ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, რომ საჭირო იყო რუსეთში არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების სერიოზული მოდერნიზაცია.

**— თქვენი შეფასებით, როგორ აღიქვა მედვედევის გამოსვლის მთავარი გზავნილები რუსეთის მმართველმა პოლიტიკურმა კლასმა?**

— ვფიქრობ, რომ რუსეთის მმართველი პოლიტიკური კლასის ნაწილს ესმის, რომ რუსეთმა დასავლეთისკენ უნდა იმოძრაოს. პრობლემა ის არის, რომ ბუნებაში არსებობს ერთი ისტორიული დოკუმენტი, რომლის ავტორობასაც პეტრე პირველს მიაწერენ. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული წერილი პეტრეს არ დაუწერია და ის ფალსიფიცირებულია. დოკუმენტში კი წერია – „რუსეთმა დასავლეთისაგან რისი მიღებაც შეუძლია, უნდა მიიღოს, მაგრამ შემდეგ დასავლეთს უკანალი აჩვენოს". მედვედევი ცდილობს, დაარწმუნოს რუსეთის პოლიტელიტა, რომ ახლა დასავლეთთან ღრენის დრო არ არის და საჭიროა მასთან აქტიური თანამშრომლობა.

**— ამ ტიპის განცხადებები მედვედევს პირველად არ გაუკეთებია. ახლანდელი ვითარება იმით არის საინტერესო, რომ მედვედევის პროდასავლური და პროამერიკული განცხადებების მეორე დღესვე ტელეკრანზე ჩნდებოდა პუტინი და პრეზიდენტის ნათქვამს პრაქტიკულად აბათილებდა. ამჯერად ასე არ მომხდარა. თქვენი აზრით, რა ხდება? ამჯერად პუტინი დუმილს რატომ ამჯობინებს?**

— რუსეთის პოლიტელიტას ესმის, რომ რუსეთი ახლა ტექნოლოგიური თვალსაზრისით იმდენად ჩამორჩება დასავლეთს, რომ დასავლეთთან ურთიერთობების გაფუჭება არ ღირს. პუტინი და რუსეთის პოლიტელიტა დასავლეთს ვერ იტანენ, მაგრამ იმავდროულად ესმით, რომ დასავლეთთან თანამშრომლობის გარეშე რუსეთი განწირულია.

ჩემი აზრით, რუსეთი სხვა მიზეზითაა განწირული და ეს ისაა, რომ რუსეთის პოლიტელიტა პრინციპულად ამბობს უარს დასავლურ ღირებულებებზე. რუსეთის პოლიტელიტა ცდება, როცა ფიქრობს, რომ ატომური ბომბიდან დაწყებული, ტექნოლოგიების მოპარვით დამთავრებული, ყველაფრის ქურდობა და რუსეთში არსებული მმართველობის სისტემის შენარჩუნება შეიძლება. ეს კი პრინციპული შეცდომაა.

**— დღევანდელ რუსეთში რამდენად რეალიზებადია კრემლის დასავლეთისკენ შემობრუნება და როგორ აისახება იგი საქართველოსადმი მოსკოვის დამოკიდებულებაზე?**

— პირველ ეტაპზე აისახება, მაგრამ როგორ, ჯერ გაუგებარია. თავიდან რუსეთი თავს დაანებებს დასავლეთის ლანძღვა-გინებას, მაგრამ შემდეგ, როცა დარწმუნდება, რომ მას არაფერი გამოსდის იმისათვის, რომ მმართველი კლასი ხელისუფლებაში დარჩეს, საზოგადოების კონსოლიდაციის მიზნით კვლავ დაიწყება ანტიდასავლური ისტერიის ახალი ფაზა.

რაც შეეხება საქართველოს, აქ მართლაც საინტერესო რაღაცები იკვეთება. მართალია, რომ მედვედევის განცხადებები საერთოდ არაფერს ნიშნავს, მაგრამ მედვედევმა აშშ-ში ვიზიტის დროს საქართველოსთან დაკავშირებით გააკეთა განცხადებები, რომელიც პრაქტიკულად ერთი კვირის შემდეგ პუტინმა გაიმეორა. მაგრამ პუტინმა, მედვედევისაგან განსხვავებით, ასევე თქვა, რომ თეორიულად არ არის გამორიცხული საქართველოსათვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება. პუტინმა ჩვეული პირდაპირობით განაცხადა, ამისათვის საჭიროა არა ვაშინგტონისთვის მიმართვა, არამედ საკმარისია მოსკოვს მიმართოთო. პუტინის გზავნილი უხეში იყო – მოაშორეთ სააკაშვილი და ამის შემდეგ შესაძლოა რუსეთმა საქართველოს დაუბრუნოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ფაქტია, რომ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, პირველად, მოსკოვმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ვაჭრობა დაიწყო. დარწმუნებული ვარ, ამ განცხადებებს დიდი სიამოვნებით არ მოისმენდნენ სოხუმსა და ცხინვალში. და მართლაც, თუ რუსეთი აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მიიჩნევს, როგორ შეიძლებოდა ამ თემაზე ვაჭრობის დაწყება.

ეს იმაზე მიუთითებს, რომ კრემლში შესაძლოა მიხვდნენ, რომ სწორი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებას 2008 წლის 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე არწმუნებდნენ, რომ კრემლის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის სერიოზული შეცდომა იქნებოდა. შესაძლოა, კრემლში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხზე სერიოზულად დაფიქრდნენ და ამ თემაზე გარკვეულ ვაჭრობას არ გამორიცხავენ.

**— თბილისმა საკმაოდ ბევრ ამერიკელ და ევროპელ მაღალჩინოსან სტუმარს უმასპინძლა. თქვენი აზრით, რამდენად უკავშირდება ეს ვიზიტები დასავლეთსა და რუსეთს შორის დაახლოებას და რა ცვლილებებს შეიძლება ელოდოს საქართველო?**

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კავშირშია. მოსკოვის საქართველოსადმი დამოკიდებულების ტონალობაში ცვლილება და თბილისში რუსეთთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები ერთმანეთთან კავშირშია. დასავლელი დიპლომატების ლექსიკონში როგორც იქნა გაჩნდა სიტყვა „ოკუპაცია". ის რომ ყველამ ამაზე დაიწყო საუბარი, შემთხვევითი არაა. კრემლში საქართველოს მიმართ აქცენტების შეცვლა დასავლეთთან მიმართებაში რუსეთის ტრადიციული რუსული ციკლის დაწყების ნიშანია. ეს ის პერიოდია, როცა დასავლეთთან მკაცრ კონფრონტაციას, დასავლეთის წყევლა-კრულვას ცვლის ცივილიზებული ურთიერთობების დამყარების მცდელობა, რომლის უკან პრაგმატული მიზანი – დასავლეთისაგან ახალი ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების მიღებაა.

**— ბატონო ანდრეი, ამას წინათ თქვენ ერთ-ერთ სტატიაში წერდით, რომ მედვედევი მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა იურგენსმა და ზლობინმა მიატოვეს და პუტინის ბანაკში გადაბარგდნენ. რამდენად შეესაბამება თქვენი ნათქვამი სინამდვილეს და რა ხდება კრემლის უმაღლეს ეშელონებში?**

— ეს საერთო შთაბეჭდილებაა. რადგან ამ თემაზე მკითხეთ, გაგიზიარებთ ჩემს შთაბეჭდილებებს, რომელიც მე რუსეთში ამერიკის საელჩოში 4 ივლისს, აშშ-ს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ წვეულებაზე მივიღე. ამ შეკრებაზე იმყოფებოდნენ რუსეთის პოლიტელიტის წარმომადგენლები. მე მათ სახელებს არ დავასახელებ, მაგრამ გეტყვით, რომ ისინი რუსეთის პოლიტიკური წრეების სისტემური მოთამაშეები, რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების მეინსტრიმის წარმომადგენლები არიან. მე გამაკვირვა მათგან მედვედევზე ნახევრად დამცინავი, უპატივცემულო ტონით საუბარმა. ამ ადამიანებს ესმით, რომ მედვედევი დამოუკიდებელი ფიგურა არაა და მასზე დიდი პატივისცემით არ საუბრობენ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები წუხდნენ, რომ აშშ-ში ვიზიტისას ვაშინგტონმა იგი სერიოზულ ფიგურად არ აღიქვა. ამიტომ, საგარეო უწყებაში მედვედევის გამოსვლას არავითარ შემთხვევაში არ მივიჩნევდი ლიბერალი პრეზიდენტის ბუნტად ავტოკრატ პრემიერ-მინისტრ პუტინის წინააღმდეგ.

**— გინდათ თქვათ, რომ საგარეო უწყებაში მედვედევის გამოსვლის ტექსტი პუტინთან შეთანხმებული იყო?**

— დიახ, რა თქმა უნდა. კრემლში კარგად ესმით დასავლეთთან თანამშრომლობის აუცილებლობა. ისტორიაში ხშირად მეორდებოდა – კონფრონტაციას თანამშრომლობა მოჰყვებოდა ხოლმე. რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელებულიყო დასავლეთთან რუსეთის კონფრონტაცია, ყოველი ასეთი ციკლის შემდეგ რუსეთი ყოველთვის პირში ჩალაგამოვლებული რჩებოდა. მოსკოვში მიხვდნენ, რომ რუსეთს დასავლეთის ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების გარეშე არაფერი გამოუვიდოდა და დასავლეთთან ტონის შერჩევა გადაწყვიტეს. დასავლეთთან საუბრის ტონის შეცვლა რუსული პოლიტელიტის უმრავლესობის კონსენსუსით მიღებული გადაწყვეტილებაა.

**— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ 2012 წელს კრემლში კვლავ პუტინი დაბრუნდება?**

— თუ მედვედევის კონკურენტი პუტინი იქნება, ყველასათვის ცხადი იქნება, რომ პუტინი მედვედევთან შედარებით უფრო წონადი ფიგურაა. არ ვიცი, რა გაუთვალისწინებელი მოვლენები შეიძლება მოხდეს 2012 წლამდე, მაგრამ დღეისათვის ვითარება ასეთია – რუსული პოლიტიკური ელიტა პუტინის კრემლში დაბრუნებისათვის ემზადება.

**კობა ბენდელიანი,**
„ინტერპრესნიუსი"

ინფორმაცია

## მდინარე დედოფლისწყაროს მიწებს გვართმევს

**დედოფლისწყაროს** რაიონში მდებარე ბუნების ძეგლი კაკლისყურე კატასტროფის პირასაა. მდინარემ შესაძლოა, კალაპოტი შეიცვალოს, რის შედეგადაც 180 ჰა მიწის ფართობი აზერბაიჯანს დარჩება. კაკლისყურეს მეორენაირად ჯუმასყურესაც ეძახიან. აქ 180 ჰა (ადრე 200 ჰა იყო) ნახევარკუნძული ხმელეთს 6 - 7-მეტრიანი მიწის მონაკვეთით (მეანდრის ყელი) უკავშირდება. მას ალაზანი გარშემო უვლის. მეანდრის ყელს მარჯვენა და მარცხენა მხრიდან ტალღები ეხლება და თანდათან საფუძველს აცლის.

— ალაზანი ტრანსსასაზღვრო მდინარეა. საზღვრის დემარკაცია აქ განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. მდინარემ ყელი რომ გაგლიჯოს და სწორხაზოვნად წამოვიდეს, 180 ჰა მიწის ფართობი საზღვრის გარეთ დარჩება და გარკვეულ პრობლემებს შექმნის, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად ამ ნახევარკუნძულს მდინარე გარკვეული სისქის გარსს აცლის და თანდათან აპატარავებს. წლების განმავლობაში კი, ე.წ. ნახევარკუნძული, შესაძლოა, წყალმა ჩამორეცხოს და სრულად გააქროს. არადა, ამ იშვიათ ულამაზეს ადგილს ბუნების ძეგლის სტატუსი სწორედ იმიტომ მიენიჭა, რომ აქ ბუნება პირველქმნილი სახით არის შემონახული. ჭალის ტყეების გარდა (რაც თავისთავად უკვე იშვიათობაა), აქ შემორჩენილია ველური კაკლის ენდემური ჯიშები. ის ვაშლოვანის ნაკრძალის დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტშია შეტანილი. აქ არის საფეხმავლო მარშრუტები, მდინარეზე გასასეირნებელი ნავები, საპიკნიკე ადგილები და კოტეჯები ბუნებისმოყვარული ტურისტებისთვის. ახლო პერსპექტივაში ადგილობრივ მოსახლეობას (თუკი ისინი შეძლებენ პროდუქციის მოყვანას) შეეძლება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი შესთავაზოს ტურისტებს და მცირე საოჯახო ბიზნესი განავითაროს, — განაცხადა ასოციაციის წარმომადგენელმა რეზო გეთიაშვილმა.



გარემოს დაცვის სააგენტოს ნაპირდაცვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის რუსუდან სტურუას თქმით, ობიექტი შესწავლილია და წინასაპროექტო აგეგმვებიც გაკეთდა, თუმცა ამ წლის ბიუჯეტის მიხედვით, კაკლისყურე არ არის იმ თხუთმეტი ობიექტის სიაში, რომელზეც ნაპირსამაგრი სამუშაოები უნდა ჩატარდეს.

ჯი-ეიჩ-ენი

**წერილი რედაქციას**



# კარგი, მაგრამ, ვინ ააშენა?!

**14 ივლისს, საღამოს, საქართველოს ტელევიზიის საზოგადოებრივ (პირველ) არხზე საინტერესო გადაცემა იყო ჩვენი ეროვნული სტადიონის შესახებ. მაღალ ჟურნალისტურ დონეზე იყო ნაჩვენები ამ ჩვენი დიდებული ნაგებობის დაპროექტებისა და მშენებლობის სტადიების, ფეხბურთის მატჩებისა და, საერთოდ, საყურადღებო მომენტები ყოფილი „დინამოს“, დღეს კი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ცხოვრებიდან.**

გადაცემაში აქცენტი, სრულიად სამართლიანად, სტადიონის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების ავტორებზე – ქურდიანების დინასტიაზე იყო გაკეთებული. ეს ადამიანები, პაპიდან შვილთაშვილამდე, ხომ გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან ბრწყინვალე ნიჭითა და შრომისმოყვარეობით, მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობითა და ადამიანებთან ურთიერთობაში სამაგალითო ჩვევებითა და სიკეთით. ხაზი გაესვა, როგორც სტადიონის სამჯერადი არქიტექტურული იერსახის დადებით მხარეებს, ისე მაყურებელთა ინტერესების უნიკალურ გადაწყვეტას (1936 წელს აშენებულს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1956,1976 და 2006 წლებში).

საქართველოს მთავრობის აპარატში ჩემი სამსახურებრივი საქმიანობის გამო ახლო კონტაქტი მქონდა სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ბოლო ორ პერიოდთან. განსაკუთრებით საყურადღებოა 2006 წელს განხორციელებული სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც რეკორდულ ვადაში – ოთხ თვეში შესრულდა. დამონტაჟდა 4900-მდე სკამი, 5750 სავარძელი, 23 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე მოეწყო ახალი სახურავი, 36 ათას კვადრატულ მეტრზე – ჰიდროიზოლაციის ფენილი, მოსახვითი სამუშაოები შესრულდა 140 ათას კვადრატულ მეტრზე, განახლდა მოედნის მწვანე საფარი, უმაღლესი დიზაინით კეთილმოეწყო და თანამედროვედ აღიჭურვა მაყურებელთა და სპორტსმენთა, მომსახურე თუ ადმინისტრაციული დანიშნულების სათავსოები, კონსტრუქციული კვანძების რეაბილიტაციით უზრუნველყოფილი გახდა სტადიონის სივრცითი მდგრადობა.

დედაქალაქმა მიიღო მსოფლიო სტანდარტების დონეზე აშენებული ბრწყინვალე სპორტული ნაგებობა, რომლის საზეიმო გახსნაზე მშენებლების მიმართ მადლიერების გამოხატვა არ დაიშურა მრავალმა ცნობილმა პიროვნებამ.

პირადად ვარ მოწმე იმისა, თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სხვადასხვა ეროვნების ადამიანები რა ენთუზიაზმით შრომობდნენ მშენებლობაზე. დამერწმუნეთ, მათ ტიტანურ შრომაში მთავარ როლს სტადიონისადმი სიყვარული, „დინამოსადმი“ გულწრფელი ტრადიციული პატივისცემა ასრულებდა.

ამ კეთილშობილური გრძნობით იყო შეპყრობილი სტადიონის მშენებელი ორგანიზაციის სააქციო საზოგადოება „თბილისისა“ და მისი შპს „ნიუ-სითის“ მთელი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიც (სხვათა შორის, ამ სამშენებლო ორგანიზაციის აქტივშია სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა და სიღნაღის რეაბილიტაციის სამუშაოები).

დაბოლოს, მიზანი, რამაც ეს წერილი დამაწერინა.

ზემოხსენებულ სატელევიზიო გადაცემაში ერთი სიტყვაც არ თქმულა მშენებლებისა და სამშენებლო ორგანიზაციის მისამართით. საკვირველია, აქო და ადიდო ასეთი გრანდიოზული და წარმატებით ამოქმედებული ნაგებობა, მის ირგვლივ მოიხსენიო ყველა და ყველაფერი, ხოლო მშენებლები სრულიად დაივიწყო. ეს ძნელი მოსახერხებელია.

ჩვენს დედაქალაქს ამის შემდეგაც მრავალი ბრწყინვალე ნაგებობა შეემატა და მომავალშიც შეემატება. ღვაწლი ამ მიღწევებში, რა თქმა უნდა, შესაბამისად და კუთვნილებისამებრ, უნდა აღინიშნოს, ამასთან ნურც მშენებლებს დავივიწყებთ, მათი შრომა არცთუ მცირეა და უდავოდ დასაფასებელია.

**რამაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი**

**ინფორმაცია**

## ცხინვალში გლოვის დღე გამოცხადდა

**20 ივლისი ე.წ. სამხრეთ ოსეთში გლოვის დღედ გამოცხადდა.**

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარის სტანისლავ კოჩიევის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ე.წ. პარლამენტმა საგანგებო სხდომის დროს მიიღო.

მისი თქმით, ავარიის დროს დაღუპულების დაკრძალვის ცერემონია 21 ივლისს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ 18 ივლისს, ცხინვალი-ვლადიკავკაზის სამგზავრო ავტობუსმა ავტოავარია განიცადა. ტრაგიკული შემთხვევის შედეგად გარდაცვლილია 11 მგზავრი, მათ შორის, ორი მცირეწლოვანია. არიან დაშავებულები. ავტობუსის მძღოლი დაკავებულია.

საქართველოს მთავრობა ცხინვალი-ვლადიკავკაზის გზაზე მომხდარი ავარიის გამო მწუხარებას გამოთქვამს სამძიმარს და უცხადებს დაღუპულთა ოჯახის წევრებს.

საქართველოს მთავრობა მზადაა დახმარება აღმოუჩინოს დაშავებულებს. მობილიზებულია სამედიცინო დაწესებულებები და სტაციონარები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მზად არიან დაზარალებულთა მისაღებად.

ჯი-ეიჩ-ენი

**სატყეო მეურნეობა**

# კვლავ აშრიალდებიან მთისა და ჭალის ტყეები

**სხვადასხვა დარგის მეცნიერთა შორის არ წყდება დავა იმაზე, თუ რა არის დედამიწაზე ბოლო წლებში ესოდენ გახშირებული სტიქიის შემოტევის მიზეზები – ოზონის შრის დარღვევა, რაც ადამიანის სამრეწველო მოღვაწეობის შედეგია, გლობალური დათბობა თუ პირიქით, გამყინვარების ახალი ეპოქის დასაწყისი?**

ამ ჯერზე დედამიწაზე კლიმატის საყოველთაო დათბობა-გამყინვარების საკითხი, რომ იტყვიან, განზე გადავდოთ და მხოლოდ ისღა ვთქვათ, რომ ათასგვარ ბუნებრივ უბედურებაში ადამიანის ხელი რომ ურევია, ფაქტია. **ნალექების წლიური განაწილების აშკარა დარღვევა, არნახულად გახშირებული წყალდიდობები ზოგიერთ რეგიონში და მათვე მეზობლად იმ მხარეებისთვის უჩვეულოდ ხანგრძლივი გვალვები, ნიადაგის ეროზიის გამო გახშირებული მეწყერები და ღვარცოფები** – ყველა ეს უბედურება ბოლო წლების მანძილზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც თავს დაატყდა და ქვეყნის მეურნეობასაც და ხალხსაც დიდი ზარალი მიაყენა. მრავალ პრობლემურ საკითხს თავი რომ დავანებოთ, სპეციალისტების ერთსულოვანი აზრით, ბევრი უბედურების სათავე საქართველოში ბოლო წლებში ტყის, საერთო ეროვნული სიმდიდრის ამ ჭეშმარიტი მშვენების ბარბაროსულ გაჩეხვასთანაა დაკავშირებული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ტყის დიდი ნაწილი იმის გამოა გადარჩენილი, რომ ტყის მასივების უმეტესი ნაწილი ძნელად მისადგომ ადგილებში იზრდება.

მაგრამ იქ, სადაც მოსახლეობა უშუალო შეხებაშია კორომებთან, ვითარება ნამდვილად სავალალოა. ისევე, როგორც სხვა ბევრი ეროვნული სიმდიდრის ფლობაში ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არავითარი წილი არა აქვს, ასევე ძალიან შეზღუდულად იღებს მონაწილეობას იგი ტყითსარგებლობაში, რომელიც ცალკეული კლანებისა თუ პირების მსუყე ლუკმად გადაიქცა და ახლა სოკოს თუ კენკრას კი არა, ფიჩხსაც ვერ გაიტან „ტყის მეპატრონე კაცთა“ დაუკითხავად. მართალია, ბოლო დროს „ტყითსარგებლობის კოდექსში“ გარკვეული ცვლილებები კი შევიდა, მაგრამ არაერთგზისი მცდელობის მიუხედავად, მის შინაარსს ვერ გავეცანით. ისე, სიტყვამ მოიტანა და, ამას მაინც აუცილებლად შევიტყობთ, მაგრამ ეს სხვა პუბლიკაციის თემა იქნება.

სპეციალისტთა აზრით, ტყის ეკოსისტემების აღდგენისა და მართვის სისტემების გაუმჯობესების პროგრამების განხორციელებას შექმნილი მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები უკვე დაწყებულია. კერძოდ, საქართველო მონაწილეობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ პროგრამაში **„სატყეო სექტორში კანონაღსრულებისა და მართვის გაუმჯობესება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთში (ENPI FLEG“)**. ამ საერთაშორისო პროგრამას ჩვენში ახორციელებენ ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი და მსოფლიო ბანკი. საქართველოში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სატყეო ინსტიტუტი წლეულს მარტიდან მოყოლებული ატარებს სათანადო კვლევებს, რომლებიც ივლისის მიწურულს დასრულდება.

აღნიშნულის გარდა, საქართველოში მთისა და ბარის ტყეების რეაბილიტაციის პროექტი **„სამხრეთ კავკასიაში ტყის ლანდშაფტების აღდგენა კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედების შესამცირებლად“** გერმანიის მთავრობისა და ზოგიერთი იქაური ორგანიზაციის დაფინანსებით ხორციელდება. უცხოელ კოლეგებთან ერთად ქართველი სპეციალისტები აღდგენით სამუშაოებს კახეთსა და იმერეთში ატარებენ. ამ მიზნით კახეთში, მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ჭალის ტერასის დაახლოებით 450 ჰექტარის ფართობის, ჭიაურის ტყის სახელით ცნობილი ნაკვეთი შეირჩა, რომელიც განსაკუთრებული ბიომრავალფეროვნებითაა გამორჩეული და დიდი ხანია სპეციალისტების ყურადღებისა და ზრუნვის ობიექტია. ოდესღაც ბუნებრივ ტყეში, სადაც ჭალის მუხა და ვერხვი იყო უმეტესად, მრავლად იყო ცაცხვი, რცხილა, ტირიფი, თელა, ნეკერჩხალი, თხმელა, იფანი. ასევე გარეული ხილი – მაჟალო, ვაშლი, ბალამწარა, პანტა... ახლა ეს ადგილი სასწრაფო შველას საჭიროებს: მიზეზთა გამო ეს ტერიტორია წლების მანძილზე იტბორებოდა, რის გამო ჭარბმა ტენმა ტყე გააოხრა. მდინარე კაბალის კალაპოტის გაწმენდის შემდგომ ტყეს თავისით აღდგენა უჭირდა, თანაც საქონელი ახალგაზრდა ნერგებს ანადგურებდა. ახლა ეს ტერიტორია შემოღობილია და მის ნახევარზე ტყის აღდგენა მიმდინარეობს.



მსგავსი სახეობის სამუშაოები იმერეთში ხარაგაულის რაიონის სოფლების ვანისა და ფარცხნალის მახლობლად მთა ლომერთის ფერდობზე 30 ჰექტარი ფართობის ნაკვეთზე ტარდება, სადაც ეკოლოგიური მდგომარეობა მეტად მძიმეა. ეს ტყიანი ადგილი ადგილობრივ მოსახლეობას წლების მანძილზე ერთიანად გაუჩეხავს, ტყის ადგილი კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებმა, საძოვრებმა და ბუჩქნარებმა დაიკავეს, შედეგად ნიადაგის ეროზიამაც მკვეთრად იმატა. ამჟამად ეს ტერიტორიაც, ისევე, როგორც კახეთში, შემოღობეს და ახლა იქ ნეკერჩხალის, წაბლის, იფნისა და სხვა ჯიშის ხეების ნერგებს რგავენ. ამ პროექტის კიდევ ერთი, საგულისხმო შედეგია ადგილობრივ მკვიდრთა ნაწილობრივ მაინც დასაქმება, თანაც დარგული რვა ათასი ძირი თხილი რამდენიმე წელიწადში მოსახლეობას შემოსავლის კიდევ ერთ წყაროს გაუჩენს.

ეროვნული სიმდიდრის – ტყის არამდგრად მართვასა და უგეგმო, უკანონო ჭრას, გარდა ზემოაღნიშნული ბუნებრივი კატაკლიზმებისა, ასევე საბიუჯეტო შემოსავლის მნიშვნელოვანი კლება მოყვება როგორც სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე, ასევე კერძო სექტორში, რაც განსაკუთრებით მტკივნეულია ტყის მასივებში ან მათ უშუალო მეზობლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. ეს სრულ წინააღმდეგობაშია ახლებურად გაჟღერებულ მთავრობის ძველ ინიციატივასთან „საქართველო სიღარიბის გარეშე“.

თუკი ტყის უპატრონობით ქვეყანაში ერთი ოჯახი მაინც დარჩება მშიერი, მაშინ რომელ სიღარიბის დაძლევაზეა ლაპარაკი?

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინფორმაცია თემაში**

***ჩვენში ტყის ფონდის მიწებს დაახლოებით სამი მილიონი ჰექტარი უკავია, საიდანაც უშუალოდ ტყით დაფარულია 2,8 მილიონი ჰექტარი, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 40 პროცენტი. საქართველოს ტყეები როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი, ასევე სტრატეგიული ეკონომიკური რესურსია, ხოლო ზოგადად ტყეთა ეკოსისტემას გამორჩეული ადგილი უკავია მთლიანად კავკასიაში, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში, რომელიც, თავის მხრივ, მსოფლიო ბიომრავალფეროვნების 35 ე.წ. „ცხელი წერტილიდან“ ერთ-ერთია.***

გვეხმაურებიან

*ამ სათაურით ჩვენი გაზეთის წლევანდელი 6 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. უამრავი მკითხველი რეკავს ტელეფონით იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის პრეზიდენტ რაჟდენ კიკილაშვილთან საუბრისას გამოიკვეთა. ზოგი წერილობით გვამცნობს მტკივნეული სატრანსპორტო საკითხებისადმი თავის დამოკიდებულებას, ზოგიც რედაქციაში გვსტუმრობს და ჟურნალისტებთან საუბრით იქარვებს გულის ბუხარს. საინტერესო მოსაზრებებით გვეწვია რედაქციაში, მაგალითად, საქართველოს ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი, ამ დარგის ვეტერანი სპეციალისტი აბესალომ ჩიჩუა, რომლის მდიდარი საინჟინრო გამოცდილება და თვალთახედვა, ვფიქრობთ, სასიკეთოდ წაადგება ქვეყნის საავტომობილო ტრანსპორტის გამართულ მუშაობას.*

# „ბიუჯეტი ფულს კარგავს, მგზავრი – კომფორტულ მომსახურებას“



– მე, როგორც საავტომობილო ტრანსპორტის ვეტერანი მუშაკი, – ამბობს ბატონი აბესალომ ჩიჩუა, – მტკივნეულად განვიცდი, რომ დარგს, რომელსაც ოდესღაც თავის საექსპლუატაციო, ტექნიკური და საფინანსო-ეკონომიკური შედეგებით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში, დღეს სავალალო მდგომარეობაშია და თვითდინებით ფუნქციონირებს. ამას ჰაერზე არ ვლაპარაკობ. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ყველა სახის ტრანსპორტის გადაზიდვების საერთო მოცულობაში საავტომობილო ტრანსპორტის წილი შეადგენდა 70-80 პროცენტს. დაახლოებით ასეთივე სურათია დღესაც, ქუჩები ვეღარ იტევს ტრანსპორტს, მაგრამ აბა იკითხეთ, რა შემოსავალს იღებს აქედან ბიუჯეტი? ირგვლივ დუმილია, ამონაგებ თანხასა და საბიუჯეტო შემოსავლებზე პასუხს ვერავინ იძლევა. მთელი ამ სფეროს საქმიანობას „რკინის ფარდა“ აქვს ჩამოფარებული.

ტრანსპორტის აკადემიის თავკაცს რაჟდენ კიკილაშვილს შეუძლებელია არ დაეთანხმო იმაში, რომ ეკონომიკის ისეთი მაღალშემოსავლიანი სექტორი, როგორიცაა მოსახლეობის სამგზავრო გადაზიდვებით მომსახურება, უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება არაორგანიზებულად, ძირითადი წესების დარღვევით, რაც იწვევს ამ სფეროში ქაოსსა და გაუკითხაობას. სავალალო მდგომარეობაშია ავტოსადგურები და მათი მეურნეობა. ბევრი მათგანი დღეს ფაქტობრივად გადაქცეულია სავაჭრო ობიექტად და კერძო ავტობუსების ფასიან სადგომად.

ვეთანხმები ბატონ რაჟდენს იმის თაობაზეც, რომ საერთაშორისო ხაზებზე ავტობუსების მუშაობაში დარღვეულია პარიტეტის პრინციპი, წამყვანი პოზიციები უკავიათ უცხოელ გადამზიდავებს, რაც ქვეყნის ბიუჯეტს სოლიდურ თანხებს აკარგვინებს.

**– დიახ, მართლაც რომ პრობლემების ალყაშია მოქცეული ავტოტრანსპორტის ყოველდღიური მუშაობა. თქვენ, როგორც ამ დარგის გამოცდილ სპეციალისტს, როგორ მიგაჩნიათ, ახლად ჩამოყალიბებული აკადემიის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებში რა საკითხების მოგვარებას უნდა მიექცეს ყველაზე მეტი ყურადღება?**

– ერთ-ერთ ასეთად მიმაჩნია სატვირთო ავტოტრანსპორტზე არსებული მდგომარეობა, რომელიც ყოვლად სავალალოა. დღეს სატვირთო საავტომობილო გადაზიდვები არარეგულარულად და დაქსაქსულად ხორციელდება, ფაქტობრივად არ არსებობს მისი მართვის ორგანიზაცია. როგორც უკვე ითქვა, ქართველი ავტოგადამზიდავები იდევნებიან საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების სფეროდან და ადგილს უთმობენ საერთაშორისო ოპერატორებს. ასეთი ტვირთების წილი საერთო მოცულობაში სულ უფრო შესამჩნევად მცირდება.

წარუმატებლობას განაპირობებს ისიც, რომ სამამულო სატვირთო ავტოპარკი საგრძნობლად ამორტიზებულია (მისი ასაკი საშუალოდ 15-17 წელიაძ და, ბუნებრივია, კონკურენციას ვერ უწევს ევროსტანდარტის მქონე უცხოურ მოძრავ შემადგენლობას.

**– ბატონო აბესალომ, დასავლეთის ექსპერტების შეფასებით, ჩვენი დედაქალაქი მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაბინძურებულ ქალაქად ევროპაში. ამის მიზეზად რას დაასახელებდით?**

– უპირველესად მავნე საავტომობილო გამონაბოლქვს. დღეს თბილისის ქუჩებში ათეულათასობით ტრანსპორტი მოძრაობს გაზრდილი ბოლიანობით, გაუმართავი საწვავი აპარატურით და ძრავებით. ყოველივე ეს ერთად აღებული და საეჭვო ხარისხის საწვავის გამოყენება არასრული წვის შედეგად ავტოსფეროში ქმნის ნახშირორჟანგის, მჟავის შემცველი და სხვა ტოქსიკური ნივთიერებების დიდ კონცენტრაციას. რატომღაც არავინ ფიქრობს დედაქალაქის პერიფერიულ მარშრუტებზე ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის – დიდი ტევადობის თანამედროვე ტრამვაის გამოყენებაზე. ეს, ერთი მხრივ, გააუმჯობესებდა მგზავრების პირობებს (დიდი მზიდი საშუალება და დაბალი ტარიფიძ, ხოლო, მეორე მხრივ, ეკოლოგიურ გარემოს.

გადასახედია საქალაქთაშორისო ხაზებზე, როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს საკითხი, მცირე ტევადობის ავტობუსების, ეგრეთ წოდებული „მარშრუტკების“ გამოყენების პრაქტიკა. მათი კონსტრუქცია არ ითვალისწინებს სატვირთო განყოფილებას, ბევრ მათგანში არ არის გადასახსნელი რბილი სავარძლები, ხოლო დასაჯდომი ადგილების გაზრდის მიზნით შემცირებულია სავარძლებს შორის მანძილი და მთელი რეისის განმავლობაში მგზავრი იმყოფება „გაჭედილ მდგომარეობაში“. გარდა ამისა, არასაკმარისია ხილვადობა და სალონის ვენტილაცია.

**– გზებზე ამდენი ავარიები და ტრაგიკული შემთხვევები რომ ხდება, ამაზე რაღას იტყოდით?**

– მართალი ხართ, ქვეყანაში დაუცველია მოძრაობის უსაფრთხოება. ყოველწლიურად საავტომობილო ავარიებით ასობით ადამიანი იღუპება, ხოლო ათასობით მგზავრი რჩება ხეიბრად და შრომისუნარმოკლებულად. ვფიქრობ, უნდა გამკაცრდეს კრიტერიუმები და მოთხოვნები მართვის მოწმობის გაცემისას. უფრო მაღალი საჯარიმო სანქციები უნდა გამოვიყენოთ იმ მძღოლთა მიმართ, რომლებიც მოძრაობენ გადაჭარბებული სიჩქარით, არაფხიზელ მდგომარეობაში, გადატვირთული ავტოტრანსპორტით და სხვ.

**– რა აზრისა ხართ დარგის სამომავლო პერსპექტივაზე?**

– მომავალში უნდა ვიფიქროთ დიდი მგზავრნაკადის საგარეუბნო მიმართულებებზე მონორელსური ტრანსპორტის მშენებლობაზე, ხოლო საქალაქო ქსელის განტვირთვის, სატვირთო ტრანზიტის, გამონაბოლქვი აირების და ხმაურის შემცირების მიზნით, შემოვლითი გზების მოწყობაზე. დიდი ქალაქების (განსაკუთრებით თბილისიძ რეგულარულ მარშრუტებზე საშუალო ტევადობის ავტობუსები, ეტაპობრივად უნდა შეიცვალოს გაზრდილი ტევადობის ავტობუსებით, რადგან დღევანდელი მგზავრობის პირობები და ტარიფი (40 თეთრიძ ვერ მოდიან შესაბამისობაში.

რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხის გადასაჭრელად საჭირო იქნება ინვესტიციების მოზიდვა და მძლავრი სამთავრობო მხარდაჭერა. აუცილებლად მიმაჩნია, ახალი სატრანსპორტო კონცეფციის შექმნა, რაშიც უნდა ჩაერთონ მეცნიერები, ეკონომისტები, იურისტები, ეკოლოგები, ტრანსპორტისა და სხვა დარგების სპეციალისტები. ასეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ჰყავს საქართველოს ტრანსპორტის აკადემიას. სწორედ მათი დახმარებით თუ შეძლებს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია (რა თქმა უნდა, ასეთი დახმარებისთვის თუ მიმართავსძ ქვეყნის ტრანსპორტის მუშაობის მსოფლიო სტანდარტებისა და თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წარმართვას.

**ესაუბრა**
**ოთარ ხუციშვილი**

SOS

# ვინ იქნება პასუხისმგებელი, თუ ვაქცინაცია მომავალში უშვილობას გამოიწვევს?

**შარშან ქვეყანაში რაღაც ვაქცინა შემოიტანეს. აცრები სავალდებულო იყო. მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახური მწირ ინფორმაციას გვაძლევდა. ლაპარაკობდნენ მხოლოდ კარგს. მაგრამ მას შემდეგ, რაც აცრებმა მთელ რიგ შემთხვევებში ლამის კატასტროფული შედეგები მოგვცა, მშობლებმა მკვეთრად გაილაშქრეს ვაქცინაციის სავალდებულობის წინააღმდეგ. მათ ემხრობოდნენ ექიმებიც და აცრები ოდნავ შეჩერდა. მას შემდეგ კი, რაც ანალოგიურმა ღონისძიებამ მოსწავლე ბიჭის სიკვდილი გამოიწვია და ვაქცინაციის პროექტი უკრაინიდან საერთოდ გამოაძევეს, ექიმებისა და მშობლების გარდა აცრების მხოლოდ არასრულწლოვანებში ჩატარების მართებულობამ დააეჭვა ფსიქიატრები, ფსიქოლოგები და ა. შ.**

ცოტა ხნის წინათ ზოგიერთმა კერძო კლინიკამ დაიწყო სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ახალი, სრულიად უცნობი ვაქცინის გამოყენება. მაგრამ ყველაფერი რატომღაც გასაიდუმლოებულ პირობებში ხდება. აცრები უკეთდებათ 13 წლამდე გოგონებს, რომლებიც სქესობრივი ცხოვრებისათვის მომწიფებულნი არიან და ის დაწყებული არა აქვთ.

ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს პრეპარატი ამერიკელებმა ჩამოიტანეს საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისათვის. კითხვაზე, თუ რატომ შემოიტანა პრეპარატი მერომელიღაცა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ და არა მსოფლიო ჯანდაცვის ქსელმა, ვერ პასუხობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე. იგი აცხადებს, რომ პრეპარატი ჩვენთან შემოიტანა ამერიკულმა ჰუმანიტარულმა ფონდმა „მსოფლიო ბავშვებისათვის“, თუ „საქართველოს ბავშვებისათვის“. ბ-ნი პაატა იქვე დასძენს, რომ ვაქცინა 500 დოლარი ღირს. ის თურმე ქალაქის მერიის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით შემოდის.

იმნაძისავე განმარტებით, საქართველოში არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ლაბორატორიულად დადგინდეს წამლის შიგთავსი, მისი ქიმიური შემადგენლობა. გამოდის, რომ ბრმად ვღებულობთ ვაქცინას, ბრმად ვცრით 13 წლის მოზარდს და კაცმა არ იცის, რა შედეგს გამოიღებს ყოველივე ეს გარკვეული დროის შემდეგ, უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, რომელ ხელისუფლებას მოეთხოვება პასუხი.

როგორც გავიგეთ, პრეპარატის სახელწოდებაა „პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატი“. ჰეპატიტის ვაქცინასთან ერთად, ჯანდაცვის მაღალი თანამდებობის პირის განმარტებით, მსოფლიო სამეცნიერო წრეებს კიბოს პრევენციის საწინააღმდეგოდ მხოლოდ ეს ორი პრეპარატი აქვთ შექმნილი.

ცოტა ხანში ვაქცინაცია იწარმოებს თბილისის ყველა კლინიკაში. აქვე ბ-ნ იმნაძეს არ ავიწყდება, ერთგვარი ფორმით რეკლამა გაუწიოს სიახლეს და აღნიშნოს, რომ ყველა ვერ აიცრება, რაოდენობა განსაზღვრულია (ისე, როგორც არც ისე შორეულ წარსულში ტელეეთერით ცხადდებოდა, დუბაის, საჰაერო რეისზე ბილეთები განსაზღვრულიაო, ასაფრენ ბილიკზე კი ნახევრადცარიელი ლაინერი მიჰქროდაძ.



ბატონ პაატას ჰკითხეს შვილების (ქალიშვილებისძ ასაკი. და როდესაც შეიტყვეს, რომ ერთი 15-ისაა, ხოლო მეორე ოდნავ მეტის, ჰკითხეს – აცრიდა თუ არა ის თავის შვილებს, რაზეც ასე უპასუხა: ეს ვაქცინა კონკრეტული ნიშნულისთვისაა განსაზღვრული და ჩემებს არ ეხებათო.

ანოტაციაში კი გარკვევით წერია, რომ ვაქცინაცია ეხება იმ ასაკისას, „ვიდრე გოგონას სქესობრივი კავშირი არა აქვს დამყარებული და სქესობრივად მომწიფებულია“. თანაც ეს პასუხი ბადებს ეჭვს, რომ გაურკვეველმა ჰუმანიტარულმა ფონდმა საქართველოში გაურკვეველი ვაქცინა შემოიტანა.

ვინ იქნება პასუხისმგებელი, რომ ეს აცრები მომავალში უშვილობას არ გამოიწვევენ?!

**ზაზა ბილიხოძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველომ აზერბაიჯანთან კონფედერაციის მშენებლობა დაიწყო

**საქართველოში იმყოფებოდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი. 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ აზერბაიჯანის ლიდერის პირველმა ვიზიტმა ჩაიარა ხაზგასმულ მეგობრულ ატმოსფეროში. მხარეები ავლენდნენ რაიმე პრობლემების უქონლობას ორმხრივ ურთიერთობაში და განაცხადეს მნიშვნელოვანი შეთანხმებების მიღების შესახებ ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში**

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბაქოსთან ურთიერთობას უწოდა „არა უბრალოდ სამოკავშირეო პარტნიორობა, არამედ თითქმის კონფედერაციული“.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი მიიღეს აჭარის დედაქალაქში. მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, ეს ქალაქი გადააქციოს თავისი ეკონომიკური რეფორმების წარმატების ვიტრინად. ილჰამ ალიევს მეუღლესთან მეხრიბანთან ერთად ბათუმის აეროპორტში შეხვდნენ მიხეილ სააკაშვილი და მისი მეუღლე სანდრა რულოვსი. როდესაც ალიევს მოეხვია, მიხეილ სააკაშვილი შემობრუნდა აზერბაიჯანის პირველი ლედისკენ, მას მხარზე ხელი დაჰკრა და აღტაცებით წარმოთქვა: „შენ, როგორც ყოველთვის, დიდებულად გამოიყურები!“.

ახალ სასტუმრო შერატონში საქართველოს პრეზიდენტმა სტუმარს გააცნო ბათუმის განვითარების პროექტები. იქვე გაიმართა მთავრობის დელეგაციების მოლაპარაკება. როგორც საქართველოს პრემიერის აპარატში გვაცნობეს, ვიზიტის ხანმოკლეობის მიუხედავად მიღწეულია მნიშვნელოვანი შეთანხმებები რამდენიმე სფეროში. „ჩვენ მოვილაპარაკეთ, შევქმნათ კომისია ერთობლივი გადაზიდვების შესახებ სამხრეთ კავკასიური დერეფნით ცენტრალური აზიიდან და ჩრდილოეთი ჩინეთიდან თურქეთსა და ევროპაში. ამას გარდა დაჩქარდება ახალი სარკინიგზო ხაზის ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის მშენებლობა, რომელიც აზერბაიჯანს ჩვენი ტერიტორიის გავლით დააკავშირებს თურქეთთან. ავაგებთ უახლეს ავტობანს თბილისი-ბაქო. აზერბაიჯანმა გამოთქვა აგრეთვე მზადყოფნა, დაამთავროს ხუთასკილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი თავისი ელექტროენერგიის ექსპორტისთვის თურქეთში საქართველოს ელექტროქსელების გავლით, ხოლო აზერბაიჯანული კომპანიების დახმარებით, უახლოეს წლებში მოახდინოს საქართველოს გაზიფიკაცია 75 პროცენტით, ნაცვლად ამჟამად არსებული 46 პროცენტისა“.

აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრმა ნათიკ ალიევმა დაადასტურა, რომ აზერბაიჯანის კომპანიები მზად არიან, ჩაერთონ საქართველოს გაზიფიკაციაში, „რათა მისმა მოქალაქეებმა მიიღონ იაფი გაზი“. მინისტრმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მხარეები „იწყებენ ორი ქვეყნის ელექტროქსელების გაერთიანების გადაწყვეტას“. პრეზიდენტმა, თავის მხრივ, დაადასტურა შავი ზღვის სანაპიროზე აზერბაიჯანის გაზის გათხევადების ქარხნის მშენებლობის გეგმა, მისი ექსპორტის მიზნით აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ, კი რუმინეთში ზღვაზე გავლით. წინასწარი სამმხრივი შეთანხმება ამის შესახებ მიღწეული იქნა ჯერ კიდევ აპრილში თბილისში.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილი არ მალავდა კმაყოფილებას აზერბაიჯანის პრეზიდენტის ვიზიტის შედეგებთან დაკავშირებით. „ამჟამად ჩვენ აზერბაიჯანთან ერთად მივდივართ მხარდამხარ. ჩვენ ერთი-მეორის გაგრძელება ვართ, ჩვენი ურთიერთობანი კი არა მხოლოდ სამოკავშირეო და პარტნიორულია, არამედ თითქმის კონფედერაციული“, – აღფრთოვანებით წარმოთქვა ბატონმა სააკაშვილმა. თეზისი საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაციის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა პირველად წარმოთქვა თავისი შარშანდელი ვიზიტის დროს ბაქოში. არ არის გამორიცხული, რომ ერთობლივი მოლაპარაკების კომისია, რომლის შექმნის შესახებაც მხარეებმა მოილაპარაკეს ამ ვიზიტის დროს, თბილისში აღიქვამენ, როგორც პირველ ერთობლივ ორგანოს მომავალი გაერთიანების ფარგლებში, როგორც თავის დროზე „ქვანახშირის გაერთიანება“ გახდა მომავალი ევროკავშირის პირველი ინსტიტუტი. „აზერბაიჯანი მეტად ავტორიტეტული ქვეყანაა, რომელსაც შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიონ ჩვენს რეგიონში“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ილჰამ ალიევი თავის გამონათქვამებში უფრო თავშეკავებული იყო. მხოლოდ კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ „იმ ინვესტორებს შორის, რომლებიც მუშაობენ საქართველოში, არიან აზერბაიჯანელებიც“, – შეახსენა ნავთობსადენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის წარმატებით განხორციელების შესახებ, აგრეთვე ყულევში აზერბაიჯანის სანავთობო ტერმინალის მშენებლობის შესახებ და უსურვა საქართველოს „სწრაფი განვითარება“.



**გიორგი დვალი**

Коммерсантъ

## საქართველოს რესპუბლიკა — დედამიწის ზურგზე



**მეცნიერებმა იპოვეს „დედამიწაზე სიცოცხლის წყარო“ – ბაქტერიები, რომლებსაც შეუძლიათ გაძლონ ვაკუუმში**

სამეცნიერო კოლექტივმა რიო-დე-ჟანეიროდან მოაწყო ექსპერიმენტების სერია ბაქტერიებთან, აღმოჩნდა, რომ მათ შეუძლიათ იცოცხლონ ნებისმიერ პირობებში: აგრესიულ ქიმიურ გარემოში, უკიდურესი სიცივისა და სიცხის პირობებში. შესაძლებელია, რომ სწორედ ასეთმა ბაქტერიებმა შემოიტანეს სიცოცხლე დედამიწაზე.

* * *



**ბოშებმა დარბევა მოაწყეს საფრანგეთის ქალაქში, ასე იძიეს შური მოკლული თანატომელის გამო**

ქალაქ სენტ-ენიანში დაახლოებით 50 კაცი ნაჯახებით და რკინის ჯოხებით არბევდა შუქნიშნებს, ჭრიდა ხეებს და წვავდა ავტომანქანებს. შეიძლება ისინი ასე იძიებდნენ შურს ახალგაზრდა ბოშის დაღუპვის გამო, რომელიც ჟანდარმებმა დახვრიტეს იმისთვის, რომ მან ერთ-ერთი მათგანს დააჯახა ავტომობილი.

* * *



**ამერიკული ტელეარხის ჟურნალისტმა უჩივლა სასტუმროებს, სადაც მანიაკი მას უღებდა შიშველს**

მაიკლ დევიდ ბარეტი 32 წლის ერინ ენდრიუსს უღებდა სურათს კარის ჭუჭრუტანიდან და ვიდეოს ინტერნეტით აჩვენებდა. ჟურნალისტი მოითხოვს სასტუმროებისგან 1,2 მილიონ დოლარს.

* * *

**ლუკაშენკომ ფილმების „ნათლია ბატკას“ შემკვეთების შესახებ განაცხადა: „ისინი სუპერმილიარდერები არიან. მე მათთვის უცხო კაცი ვარ“**

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კომპრომატი მასზე რუსმა კოლეგებმა შეუკვეთეს. „მე ვიცი, თუ ვინ გასცემს ამ ბრძანებას, ვინ მართავს ამ პროცესებს“. მან გამოთქვა რწმენა, რომ ბელორუსი არ უპასუხებს „ნაგავს ნაგვითვე“, მაგრამ თავის დროზე თვალს აუხელს რუს კაცს, „თუ იგი ვერაფერს დაინახავს“.




# სააკაშვილმა რუსეთს „სამხედრო ტურიზმში“ დასდო ბრალი

**დავვახლოვდეთ და დავაკანონოთ ურთიერთობანი. ბათუმში დაიწყო ევროსაბჭოსა და საქართველოს წარმომადგენელთა მოლაპარაკება ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებაზე ასოციაციის შესახებ**

დოკუმენტი პირველი ეტაპია ევროკავშირში წევრობის მაძიებელთა ინტეგრაციის გზაზე, იგი საშუალებას მისცემს საქართველოს, თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიები დაუახლოოს ევროკავშირის სტანდარტებს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ დასახული ამოცანების შესასრულებლად მას სჭირდება გაათავისუფლოს ქვეყანა რუსი სამხედროებისგან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ გვაქვს უზარმაზარი ცარიელი ტერიტორიები და ეს ყველაფერი ერთი მიზეზის გამოა: ხალხს არ შეუძლია დაბრუნდეს საკუთარ სახლებში აქ რუსი კონტინგენტის არსებობის გამო. სამხედროები აქ რჩებიან, რათა განამტკიცონ ეთნიკური წმენდის შედეგები. ეს ცხადია. სხვაგვარად რა უნდათ მათ აქ? თუ საკითხი შეეხება სამხედრო ტურიზმს?

რუსეთ-საქართველოს ომის მეორე წლისთავის წინა პერიოდში სააკაშვილმა მიიღო ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტმა საქართველო მიიჩნია პასუხისმგებლად ომის დაწყებაში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

დასავლელმა პარტნიორებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ აღიარებენ თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

საქართველოში ამტკიცებენ, რომ რუსეთმა არ შეასრულა ომის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობები. კერძოდ, არ გამოიყვანა ჯარები სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან.

EuroNews

# ევროკავშირის დროშები და ფეიერვერკები საქართველოს ოცნებებზე მოწმობენ

**ევროკავშირის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას უყვარს ეს კავშირი, როგორც საქართველოს. ევროკავშირის დროშები გამოფენილია მთავრობის სახლებსა და ყველა სამინისტროში, რითაც ხაზს უსვამენ საქართველოს ამბიციას, შეუერთდეს ევროპას, თუმცა ევროკავშირის წევრობა ჯერჯერობით შორეული ოცნებაა ქვეყნისთვის**

ამიტომ, როდესაც გასულ კვირას საქართველოში ჩავიდა სამი მაღალი რანგის ევროპელი – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი, მისი პოლონელი კოლეგა რადოსლავ სიკორსკი და ევროკავშირის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი კეტრინ ეშტონი, მათ გულთბილი შეხვედრა ელოდათ, რასაც საზეიმოდ აშუქებდნენ საქართველოს ტელევიზიები.

კუშნერს თბილისში პრეზიდენტის სასახლეში შეხვდა დიდებული ფეიერვერკი, ეშტონისთვის ბათუმში უკრავდა ორკესტრი. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, რომელიც ერთი კვირით ადრე იმყოფებოდა საქართველოში, ევროპელებიც ეუბნებოდნენ ქართველებს იმას, რაც მათ უნდოდათ, რომ მოესმინათ – რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ზავის შესახებ ხელშეკრულების პირობების დარღვევა და გამოიყვანოს თავისი ჯარები ორი სადავო რეგიონიდან – აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან.

ხოლო, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს მოწონებული სიტყვები პრაქტიკაში – სრულიად სხვა საკითხია. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა უმალვე გააპროტესტა კლინტონის განცხადება იმის შესახებ, რომ ორი რეგიონი „ოკუპირებულია“ რუსეთის ჯარებისგან, აღნიშნა დაცინვით, რომ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა – ისინი „გათავისუფლებული არიან“. რაც უნდა ილაპარაკონ დასავლელმა დიპლომატებმა, მოსკოვი, როგორც ჩანს, არც აპირებს ჯარების გამოყვანის საკითხის განხილვას.

ამ დროს კრემლის მიერ მხარდაჭერილი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აცხადებენ, რომ ისინი გამოდიან მოლაპარაკების მორიგი რაუნდიდან დაზავების შესახებ, რაც მიმდინარეობს ევროკავშირის, გაეროსა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციიდან, უარყოფენ საქართველოს ახალ სტრატეგიას „დაახლოება თანამშრომლობით“. ამ მომენტში ნაყოფიერი დიალოგის პერსპექტივები კარგად ვერ გამოიყურება.

საქართველოს უცხოელ სტუმართა უმრავლესობა შეხვდა აგრეთვე ოპოზიციის ლიდერებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქვეყანაში დემოკრატიის საქმე გაცილებით უარესია, ვიდრე ამას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წარმოგვიდგენს. მაგრამ მეგობრული ვიზიტების ეს ჯაჭვი, უეჭველია, მთლიანად გარკვეულწილად ამტკიცებს სააკაშვილის მთავრობის პოზიციას, რუსეთთან გაუთავებელი დავების ფონზე. საქართველოს სჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა, რაც მან შეიძლება მიიღოს კიდეც.

სააკაშვილს სახე გაებადრა, როდესაც ეშტონმა ეროვნული ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ქებით მოიხსენია ის, თუ, როგორ ხორციელდება ქვეყანაში რეფორმები. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს აქვს „ევროპული რწმენა, ევროპული ორიენტაცია და ევროპული გრძნობები“.

ზოგიერთი ექსპერტი საქართველოს იდეას, შევიდეს ევროპაში, მიიჩნევს უგუნურ ფანტაზიად, მაგრამ ბევრისთვის ეს არის ის, რისი რწმენაც მათ აქვთ.

The Moscow Times

ⓞ გამოფენა ნიუ-იორკში

*„ნინო გამსახურდია, თანამედროვე საერთაშორისო სამხატვრო სარბიელზე მარჯვე და უნიკალური მხატვარია, რომელიც შესანიშნავად ფლობს როგორც ფერთა ჟღერადობას, ასევე კომპოზიციის ფენომენს. ნინო დაბადებულია თბილისში, რომლის ბუნებამაც განაპირობა ფერთა ტროპიკული სილამაზე მის პალიტრაში. ნინო გამსახურდიას ხელოვნებაში შერწყმულია უძველესი ტექნიკა (ეგვიპტური, ინდური, ბიზანტიური) თანამედროვე ხელოვნებასთან და ამავე დროს მას აქვს უაღრესად თავისთავადი სტილი. ამასთან ერთად მას შექმნილი აქვს არაერთი სტელა, ამულეტი, ობელისკი, ქანდაკება. მისი სამხატვრო სტილი უდაოდ გამომგონებლური ხასიათისაა,უნიკალურია! თავად კი როგორც ხელოვანი მეტად კომპეტენტურ ავტორად წარმოგვიდგება!*

*ივნისი ძალიან სასიხარულო აღმოჩნდა ნიუ-ორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის — ამა წლის 1-15 ივნისს ნიუ-იორკში, მანჰეტენის ერთ-ერთი პრესტიჟული უბნის სამხატვრო გალერეაში მოეწყო გამოფენა ეგიდით „მხატვრები შინ და გარეთ", სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ფერმწერებთან ერთად წარმოდგენილი გახლდათ ჩვენი თანამემამულის, ასევე ემიგრანტი ქართველის ნინო ბარდაველიძე-გამსახურდიას ნამუშევრები.*

*ნინო გვესტუმრა უმცროს ვაჟთან, ზვიად გამსახურდიასთან ერთად.*

*გამოფენაზე მხატვრულ ნამუშევართა პრეზენტაცია შედგა 3 ივნისს, სადაც უამრავმა ქართველმა მოიყარა თავი. ამ დღეს ქართველი ქალბატონი პირველად წარსდგა ამერიკელ ხელოვნების მოყვარულთა წინაშე.*

*ნინოს ნამუშევრები ძირითადად თანამედროვე, მოდერნისტულია. მისი ნამუშევრებიდან გამოსჭვივის სამშობლოს სიყვარული, დიდი ნოსტალგია და კარგად ჩანს ავტორის შინაგანი სამყარო. ნინო როგორც ფერმწერი, ძირითადად ემიგრაციაში, შვეიცარიაში ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა, მისი ნამუშევრების ფეროვნება, მგზნებარება კვლავაც ქართულია, გასაოცრად თბილი და მიმზიდველია მისი კომპოზიცია და ფერთა სიუხვე, განსაკუთრებით დიდი სიამაყის მომგვრელი იყო ნამუშევრების „ოქროს საწმისი", „საკულტო ცხოველი", „არქეტიპი" ხილვა, რომელთაც სამშობლოდან წლობით გადახვეწილ ქართველებს ასე უხვად შემოგვაფრქვიეს მშობლიური სითბო და მადლი...*

*ნამუშევრებთან ერთად უდიდესი სიხარული მოგვანიჭა დედა-შვილმა ნინო და ზვიად გამსახურდიებმა ქართული ხალხური სიმღერების უზადო შესრულებით!*

*— ნინოს ინტერვიუ ვთხოვე, რაზედაც სიამოვნებით დამთანხმდა.*

*ვფიქრობ, საქართველოს მოსახლეობა, ქართული საზოგადოება სიამოვნებით გაეცნობა გამსახურდიების განვლილ გზას შვეიცარიაში...*

# პალიტრა — ტროპიკული გამა

**— დღეს პირველად შედგა თქვენი, როგორც ფერმწერის დებიუტი ნიუ-იორკში. თუ შეიძლება გვითხარით საიდან წამოვიდა ეს იდეა?**

— იდეა ჩემგან არ წამოსულა, თვითონ სამხატვრო გალერეისგან მივიღე მოწვევა.

ვიცი რომ ნიუ-იორკში ასიათასამდე ქართველი ცხოვრობს, დიდ ნაწილს უკვე შევხვდი. რაც შეეხება გამოფენას, ჩემს გარდა კიდევ შვიდი მხატვარია წარმოდგენილი.

**— თქვენი ნამუშევრები განსაკუთრებით გამოირჩევა — მხატვრული სტილი სრულიად განსხვავებულია. რამ გამოიწვია ფერწერის უძველესი ტექნიკით თქვენი დაინტერესება?**

— ვარ ხელოვნებათმცოდნე, სამხატვრო აკადემია დავამთავრე. ვმუშაობდი ხელოვნების ინსტიტუტში სამი წელი მეცნიერ-თანამშრომლად. ყოველთვის მაინტერესებდა ბიზანტიური მხატვრობის ჟანრი. თეორიულად საკმაო ცოდნა მქონდა დაგროვილი, ყოველთვის მიზიდავდა ფერწერა და პარალელურად ვხატავდი. თვრამეტი წელია ვცხოვრობ შვეიცარიაში, სადაც არ მქონდა მეცნიერული მოღვაწეობის პირობები, ამიტომ მეტი დრო დავუთმე პრაქტიკულ საქმიანობას და უფრო აქტიურად დავიწყე ხატვა.

**— გამოფენები თუ გქონიათ ევროპაში?**

— ევროპაში ვაწყობ გამოფენებს რეგულარულად. წელიწადში ოთხი-ხუთი გამოფენა მაქვს არა მარტო შვეიცარიაში, არამედ გერმანიაში, საფრანგეთში. საქართველოში არც ერთხელ არ მქონია.

**— როგორც შესანიშნავ დედასა და მეუღლეს, ვიცი დიდი დატვირთვა გაქვთ ოჯახში. როგორ ახერხებთ დროის გამოძებნას ასეთი მშვენიერი ფერწერული ნამუშევრების შესაქმნელად?**

— ალბათ თავიდან უნდა დავიწყო: როგორც ყველა ქართველი ემიგრანტი, ჩვენც მძიმე ცხოვრებით ვცხოვრობთ. ეს თვრამეტი წელი არსებობისათვის წვალებასა და შრომაში გავატარე. საიმისო პირობები ნამდვილად არ მქონდა, რომ მხოლოდ მხატვრობით დავმტკბარიყავი, იძულებული ვართ, როგორც ყველამ, ჩვენც ვიხადოთ ქირები, მათ შორის ბავშვების სწავლის ქირა და სხვა გადასახადები. პარალელურად ვეწევი მთარგმნელობით საქმიანობას, მაგრამ ხატვისთვის დროის გამოძებნას მაინც ვახერხებ.



**— თქვენი ნამუშევრები, მათი შესრულების სტილი საიუველირო-სამხატვრო ნამუშევრების მიჯნაზეა. რა სახის ტექნიკას იყენებთ?**

— ჩემი მიზანია, დაკარგული და მივიწყებული ძველი ტექნიკები ავაღორძინო, თანამედროვე სურათები შევქმნა ძველ-ინდური რაჯასტანის, ეგვიპტური ენკაუსტიკური და ხატწერის ტექნიკის გამოყენებით. ეს არ არის უბრალოდ კოპირება, ვცდილობ ეს ტექნიკები განვავითარო, ამიტომაც საღებავს მე თვითონ ვამზადებ. მასალად ძირითადად ვიყენებ ძვირფასი ქვების პიგმენტებს: პაპისლაზურს, იაშმას, ძოწს, მალაქიტს, აზურიტს, ოპალს, ალმასის ნაფშხვენებს. სწორედ შენიშნეთ, ჩემი ფერწერული ტილოები მართლაც საიუველირო — სამხატვრო მიჯნაზეა.

ჩემი ნამუშევრების ნახვა შეგიძლიათ ვებგვერდზე: www.-nina-gamsachurdia.ch

**— როგორც ამას წინათ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, თქვენი სადიპლომო ნამუშევარი იყო ლაზარეს აღდგინების თემა შუასაუკუნეების ქართულ კედელთმხატვრობაში. ამ თვრამეტი წლის მანძილზე თუ მიუბრუნდით ოდესმე ამ თემას ან რა სახით აისახა თქვენს ნამუშევრებში?**

— დიახ, ასე იყო. შემდგომში უკვე ჩემი მეუღლე, კონსტანტინე აქტიურად მეხმარებოდა თემის დამუშავებაში. მთელი ამ ხნის მანძილზე პერიოდულად ვუბრუნდები დიდი საიდუმლოებით მოცულ ამ თემას: „დამარხულ არს ენაი ქართული"... რამდენიმე ნამუშევარიც მაქვს შექმნილი სხვადასხვა დროს სახელწოდებით „ლაზარეს აღდგინება".

**— თქვენს შვილებსა და სამომავლო გეგმებზე რას გვეტყოდით?**

— ძნელია მომავალზე საუბარი... თუნდაც ის ფაქტი, რომ შვეიცარიაში ვცხოვრობთ 18 წელი, დაგეგმილი არ ყოფილა. სამწუხაროდ ზოგჯერ ისე ხდება, როგორც არ გვინდა რომ მოხდეს. ერთი კია, მადლობელი ვარ იმ მხრივ, რომ ვცხოვრობთ სამართლებრივ ქვეყანაში, სადაც ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ვცხოვრობთ წყნარად, უზრუნველადო ვერ ვიტყვი.

ხვალ ორ გალერეაში ვარ მიწვეული და ვნახოთ რას შემომთავაზებენ. ევროპაშიც დაგეგმილია 3-4 გამოფენა.

რაც შეეხება ჩვენს შვილებს, ორივე — დემეტრეც და ზვიადიც სწავლობს, მაქსიმალურად ვცდილობთ უზრუნველვყოთ მათი პირობები სწავლისათვის და მომავლის შესაქმნელად. ამას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენი ძალებით ვახერხებთ, დამხმარე არავინ გვყავს.

**— საინტერესოა თქვენი შთაბეჭდილება ნიუ-იორკისა და მისი ქართული დიასპორის შესახებ, განსაკუთრებით, თქვენი, როგორც ევროპელი ემიგრანტის გადასახედიდან?**

— რა გითხრათ? ემიგრანტი ყველგან ემიგრანტია, ქვეყანას არა აქვს მნიშვნელობა — ქართველებს ყველგან უჭირთ შეგუება, ინტეგრირება. ეს ალბათ ქართული ფენომენია... ქართველი, თითქმის არასოდეს ყოფილა ემიგრანტი, ამიტომაც ქართველთა დიდი ნაწილი, როგორც ჩაგრული უმცირესობა, ყველგან ასე გამოიყურება, ძალიან უჭირთ უცხო მიწაზე საკუთარი ადგილის პოვნა. ალბათ, რაღაც გზა უნდა გამოიძებნოს საიმისოდ, რომ ქართველებმა თავი გადაირჩინონ უცხოეთში. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთ დაბადებული ბავშვების, ჩვენი შვილების თაობა ფაქტობრივად დაკარგულია — მათი 99% ქართულად ვერ მეტყველებს. არადა ეს თემა ტაბუდადებულია. ვფიქრობ, უნდა შეიქმნას რაღაც კულტურული ცენტრები, კერები, რომ გადარჩეს ახალგაზრდა თაობა.

**— ის იყო ჩვენი ინტერვიუ დასასრულს უახლოვდებოდა, რომ ერთ-ერთი ამერიკელი მხატვარ-გალერისტი შემოგვიერთდა, რომელმაც ასეთი რამ ბრძანა:**

— „ვუყურებ რა თქვენს ნამუშევრებს, ვიტყოდი, რომ ეს არის გრძნობების გადმოცემა-გამოვლენა. ამ თვალსაწიერიდან ნამუშევრებში იკითხება ისეთი სულიერი განწყობა, სადაც მეტად ამაღლებულია და კარგადაა შერწყმული ბუნება და კულტურა — ასეთი გააზრება მიუთითებს ახალი სახის რეალიზმზე ხელოვნებაში, რეალიზმზე, რომელიც სიცოცხლის ნამდვილ არსს გამოხატავს.

საინტერესოა ბალანსი მოქმედებასა და ნააზრევს შორის, ასევე მიმზიდველია კონტრასტული ფერების დაწყვილება: წითელი — მწვანესთან, ლურჯი — ნარინჯის ფერთან, თუმცა ასეთ კონტრასტებშიც შესანიშნავადაა შერწყმული ძირითადი, წამყვანი ტონი. თქვენთვის აბსტრაქცია ბუნებაში არ არის ამორფული, არც უფორმო რამაა. მათში შესანიშნავადაა გადმოცემული გრძნობები და განწყობა, ის, რომ ფერმწერის როლი გახლავთ შეთავაზება და არა განსაზღვრა..."

**ვუსმენდი ამ უცხო ადამიანს და გული სიამით მევსებოდა, თუმცა სადღაც სულის სიღრმეში ტკივილსაც განვიცდიდი — ჩემს სამშობლოში ხომ ნინოს ნამუშევრებზე ბევრს წარმოდგენაც არა აქვს...**







**ნანა ტატიაშვილი.**
ნიუ-იორკი, აშშ

ⓞ მომავლის მეცნიერება

# კონცერტი ნოოსფეროს ამაგდარისთვის

**შესაძლოა ბევრმა არ იცოდეს, რომ ნოოსფერო ცნობიერებით მოცულ პლანეტა დედამიწას ნიშნავს, და რომ ჩვენთან ნოოსფეროს აკადემიაც გვაქვს, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ლეონიდ კალანდაძის სახელ-მუზეუმთან არსებობს.**

**ახლახან ამ აკადემიაში საზეიმო კონცერტი გაიმართა, რომელიც ნოოსფეროს აკადემიის 75 წლის პრეზიდენტს, ქალბატონ ირინა კალანდაძეს მიეძღვნა.**

აკადემიის თანამშრომლებმა და მეგობრებმა აღნიშნეს, რომ თვალსაჩინოა ქართველი მეცნიერი ქალის წვლილი მომავლის მეცნიერების — ნოოსფეროს განვითარებაში. ქალბატონი ირინა — პროფესიით ფიზიკოსი, ბიოლოგი, ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, ერთდროულად ემსახურება მას და საკუთარი წვლილი შეაქვს ახალი აღმოჩენების ჩამოყალიბებაში.

ადამიანისა და სამყაროს ფენომენის გაწონასწორება, დაფუძნებული სიკეთესა და სიყვარულზე, კაცობრიობას იხსნის დაღუპვისაგან. ნოოსფერო სამყაროს, და მათ შორის საქართველოს, აწმყოდან მომავლისკენ მიმართული გზაა, — ფიქრობს ქალბატონი ირინა.

ღვაწლმოსილ მეცნიერს საზეიმო კონცერტი სწორედ მომავალმა თაობამ — კონსერვატორიის პროფესორის გულიკო კარიაულის მოსწავლეებმა გაუმართეს.

**თამარ გაგროშვილი.**



**სურათზე:** იუბილარს ულოცავს აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე.

ჭიდაობა

# „დიდი პრიზის" შვიდეული

**აზერბაიჯანის დედაქალაქში დამთავრდა მოჭიდავეთა „ოქროს დიდი პრიზის" გათამაშება, რომელშიც ქართველი ფალავნები მრავლად იყვნენ წარმოდგენილი. ჩვენმა ბიჭებმა ერთი ვერცხლის და ექვსი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და მეორე ადგილზე გავიდა გიორგი ცირეკიძე (74კ. გადამწყვეტი პაექრობა მან უნგრელ ევროპის ჩემპიონ პეტერ ბაცთან წააგო. მძიმე წონაში „ბრინჯაოს" დასჯერდა დიმიტრი ჯავახიშვილი. შეჯიბრებაში მანუჩარ კვირკველია (74კ, რამაზ ნო-



ზაძე (96კ და მანუჩარ ცხადაიაც (66კ მონაწილეობდნენ, მაგრამ ისინი კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნადავლი 5 „ბრინჯაოს" ვერ გასცდა. 55 კილოში ბესარიონ გუჩაშვილი აზიის ჩემპიონ შინაჩი იომოტოსთან (იაპონია) დამარცხდა, სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის გადამწყვეტი ორთაბრძოლა მის თანამემამულე იასუჰირო ინაბას მოუგო. 60 კილოში ასევე მესამე იყო მალხაზ ქურდიანი, ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ 96 კილოში გიორგი გოგშელიძე და ბელდუხ გავაშელიშვილი, რომლებმაც ნახევარფინალური პაექრობები აზერბაიჯანელებთან – ხეტაგ გოზიუმოვთან და ჯამალედინ მაგომედოვთან დათმეს. მძიმე წონაში თურქმა ევროპის ჩემპიონმა ფათიჰ ჩაკიროღლუმ დავით მოძმანაშვილი და ლევან ბერიანიძე ჩამოიცილა გზიდან.

დამარცხებულ ქართველთა მესამე ადგილისთვის დაპირისპირება ბერიანიძის გამარჯვებით დამთავრდა.

**ლექსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# უკომპრომისო ბრძოლაში

**სწორედ რომ უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობს შეხვედრები საჭადრაკო სუპერტურნირზე დორტმუნდში. მეორე ტურში უკრაინელმა დიდოსტატმა რუსლან პონომარიოვმა თეთრებით მწვავე ტაქტიკურ ბრძოლაში სძლია მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ვლადიმერ კრამნიკს.** მესამე ტურში კი გამარჯვება იზეიმა ბაქოელმა შახრიარ მამედიაროვმა, ამჯე-



რად მან ვიეტნამელი კუანგ ლიემ ლიეს წინააღმდეგობა დაძლია. ასევე უკომპრომისო იყო კრამნიკისა და უნგრელი პეტერ ლეკოს პარტია. მათი ორთაბრძოლა შავების მეფის მუდმივი ქიშით ყაიმით დამთავრდა.

სამი ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით ლიდერობენ მამედიაროვი და პონომარიოვი. თითო ქულა აქვთ კრამნიკს, კუანგ ლიემ ლიეს, ლეკოსა და ნაიდიჩს.

ძალოსნობა

# ახალგაზრდობა იმარჯვებს



**შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატი. შეჯიბრებაში განსაკუთრებით ახალგაზრდებმა გამოიჩინეს თავი. მაგალითად, ჭაბუკებში 2009 წლის ევროპის ჩემპიონმა გიორგი მიშველაძემ 62 კილოში პირველობა არავის დაუთმო; მძიმე წონაში 16 წლის ლაშა ტალახაძემ ორჭიდის ჯამში 348 კილოგრამი მოაგროვა და ჭაბუკებში საქართველოს რეკორდი დაამყარა. საგულისხმოა, რომ ცნობილი საჩხერელი ძალოსნის კობა ტალახაძის ვაჟი წლეულს თანატოლებში ევროპის ჩემპიონი გახდა, აგვისტოში კი სინგაპურს ეწვევა მსოფლიო ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებში სასასპარეზოდ. ეროვნულ ჩემპიონატში იგი მეორე ადგილს დასჯერდა. ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა 105 კილოში დავით გოგია, რომელიც წლეულს 20-წლიანთა ევროპის პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.**

ახლა კი ჩემპიონატის გამარჯვებულთა ვინაობას გაუწყებთ: ზვიად ფუტკარაძე (56 კგ, აჭარა, 190 კგ ორჭიდში), შოთა მიშველაძე (62, ქუთაისი, 230), გიორგი ლომთაძე (69, ქუთაისი, 275), ჯაბა ჩიბურდანიძე (77, აჭარა, 284), რაულ ცირეკიძე (85, ქუთაისი, 345), ვაჟა ლონლაძე (94, ქუთაისი, 352), გია მაჭავარიანი (105, აჭარა, 382), ირაკლი თურმანიძე (+105, აჭარა, 400).

**გიორგი გაგუა**

მძლეოსნობა

# „სპორტის დედოფალი" ეროვნულს ეწვია





**საქართველოს 23 ქალაქისა და რაიონის 235 წარმომადგენელი მონაწილეობდა მძლეოსანთა ეროვნულ ჩემპიონატში, რომელსაც ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონმა უმასპინძლა.** ორდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **ქალები.** სალომე სირაძე (100 და 200 მ), მაია გოგოლაძე (100 მ. თარჯრბენი და სიგრძეზე ხტომა), თეა ფაცურია (400 და 400 მ. თარჯრბენი), გაიანე უსტიანი (800 მ), ანიჩკა მურადიანი (1500 მ), გიული დეკანაძე (3000 და 5000 მ), თათია პაიკიძე (სამხტომი), სოფიო მაჭავარიანი (სიმაღლეზე ხტომა), სალომე რიგიშვილი (ბირთვი და ბადრო), ნათია გიგაური (შუბი). **ვაჟები.** ბაჩანა ხორავა (100 მ), დავით ილარიანი (110 მ. თარჯრბენი), ენდრიკ ზილბერშტეინი (200 და 400 მ), დავით ბარამიძე (400 მ. თარჯრბენი), ანდრანიკ მატინიანი (800 მ), მერაბ ქინიძე (1500 მ), გიგლა ზილბერშტეინი (3000 მ), ჯეირან ხოფერია (5000 მ), ოთარ ხაჭაპურიძე (სამხტომი და სიგრძეზე ხტომა), ზურაბ გოგოჭური (სიმაღლეზე ხტომა), ბენიკ აბრამიანი (ბირთვი), გიორგი ბედოშვილი (ბადრო), ვასილ ელენიძე (შუბი).

**ბესო დიდია**

64 უჯრა

# შეწირვა ამართლებს მიზანს...

მარკ ტაიმანოვი

1964



— შესანიშნავი შეტევა განახორციელა მარკ ტაიმანოვმა (თეთრები) ერთდროულ სეანსში. ორი კუს დაპირისპირება და ეტლის მე-7-ე ჰორიზონტალზე დამკვიდრება მის პოზიციას უტყუარ უპირატესობას ანიჭებდა, მაგრამ საბოლოო რეალიზაცია მოითხოვდა დიდოსტატის აბსოლუტურ კომბინაციურ სმენას, რაც ტაიმანოვს ღვთისაგან აქვს ნაბოძები (იგი მრავალი საფორტეპიანო კონკურსის პრიზიორი გახლავთ).

აი, როგორ წარიმართა ეს პარტია

1. კc4! — ლ:c4
2. ე:g7+! — მფh8
3. კ:e5! — ლ:c2
4. ეf8+! — ე:f8
5. ე:g6+ X

**მოამზადა თამაზ შენგელიამ**

ინტერნეტიდან

## ფინალის ბურთი გაიყიდა




**ახლახან დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის ბურთი, რომლითაც ესპანეთი და ჰოლანდია პირველობისთვის იბრძოდნენ, გაიყიდა აუქციონზე 48,2 ათას გირვანქა სტერლინგად (74 ათას დოლარად).**

ეს ის ბურთია, რომელიც ინიესტამ დამატებითი დროის მეორე ტაიმში გაიტანა და ესპანელებს პირველად მსოფლიო ჩემპიონობა მოუტანა.

როგორც იტყობინებიან, შემოსული თანხა შიდსთან ბრძოლის კამპანიას მოხმარდება.

## „ბრილიანტის ლიგის" რჩეულნი




**მსოფლიოში სეზონის ხუთი საუკეთესო მაჩვენებლით აღინიშნა პარიზში გამართული „ბრილიანტის ლიგის" მეცხრე ეტაპი.**

მართალია, 100 მეტრზე სირბილში მონაწილეობდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი უსეინ ბოლტი, გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ ამჯერად მხოლოდ 9,84 წამით დაკმაყოფილდა, რაც 0,02 წამითაა უარესი სეზონის საუკეთესო დროზე.

მხოლოდ 0,03 წამი დააკლდა ამერიკელ დევიდ ოლივერს, რათა დაემხო კუბელ დაირონ რობლესის მსოფლიო რეკორდი 110 მეტრზე თარჯრბენში — 12,98 წამი. ასევე სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა 1500 მეტრზე სირბილში სამთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნებულმა რუსეთელმა ანა ალმინოვამ — 3,57.65.

400 მეტრზე საუკეთესო იყო ამერიკელი უორინერი — 44,49. ქალთა შორის ასევე ყველა დაჯაბნა 5000 მეტრზე სირბილში კენიელმა ჩერიუიოტმა — 12,27,41, დაბრკოლებათა გადალახვაში 3000 მეტრზე კი ვერავინ წამოეწია კიპრუტოს — 8.00.90.

## ლამაზმანმა დაიმორჩილა

**უკვე დიდი ხანია, ტურინის „იუვენტუსის" დატოვებას აპირებს ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე. გასულ სეზონში ის გუნდში ჩირო ფერარას თხოვნით დარჩა, ახლა მას სხვა ძალები „ამუხრუჭებენ" — ის ახალი მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი კი არაა, არამედ ცნობილი იტალიელი პორნოვარსკვლავი ვიტორია რიზი.**



ოთხშაბათს „ბებერი ქალბატონის" ბრწყინვალე გამარჯვებაში „ალნასერზე" — 5:0 ტრეზეგეს დიდი წვლილიც იყო. მან სამი გოლი გაიტანა. ვიტორია ტრიბუნიდან მიესალმებოდა ფორვარდის წარმატებას. განაცხადა კიდეც, რომ დავიდი კონტრაქტს გააგრძელებს. „მე მუდამ ვიყავი „იუვენტუსის" და პირადად ტრეზეგეს თაყვანისმცემელი, იმედი მაქვს, რომ ის ჩვენს კლუბში დარჩება".

ვიტორია მხატვრობასაც მისდევს. მას ძალზე უნდა ტრეზეგეს პორტრეტის დახატვა.

კულტურა

# იტალიაში — საგასტროლოდ...



**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 28 ივლისიდან 6 აგვისტომდე მიწვეულია იტალიის ქალაქ გუბიოში საერთაშორისო საოპერო ფესტივალში მონაწილეობისთვის. თეატრის სიმფონიური ორკესტრი მონაწილეობას მიიღებს ვერდის „რიგოლეტოსა“ და გალა-კონცერტებში. ფესტივალის ორგანიზატორია ცნობილი იტალიელი საზოგადო მოღვაწე, სენატორი ალდო სარტორი. ფესტივალს მუსიკალური ხელმძღვანელის სტატუსით სათავეში უდგას ცნობილი ახალგაზრდა იტალიელი მუსიკოსი, ჩვენი თეატრის მოწვეული დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო.**

აღსანიშნავია, რომ სენატორ ალდო სარტორის წამოწყება მრავლისმომცველია და ეხება ბიზნესსექტორსაც. კერძოდ, საოპერო ფესტივალის პარალელურად, მისი აქტიური მონაწილეობით და იტალიის სავაჭრო პალატის მხარდაჭერით გაიმართება დიდი საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საქართველოს მეგობარ სენატორს ქართველი და იტალიელი ბიზნესმენების ურთიერთდაკავშირების სურვილი აქვს, რაც, ცხადია, დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნისთვის სავაჭრო და ეკონომიკური არეალის გაზრდას, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის მდგრადი საფუძვლების შექმნას.

სენატორ სარტორისა და, უწინარესად, იტალიის დეპუტატთა პალატის პრეზიდენტის ჯანფრანკო ფინის გადაწყვეტილებით, ამ ფესტივალსა და ფორუმზე მიწვეული არიან საქართველოს პარლამენტის წევრები, სხვა ოფიციალური პირები. თბილისის ოპერის თეატრს თან ახლავს იმ ქართველ ბიზნესმენთა ჯგუფი, რომლებიც თანამშრომლობენ ოპერის თეატრთან და ზრუნავენ მასზე.

**გიორგი სამხარაძე**

წარდგენა

# „კურცხალი ცეცხლში“ მწერლის ახალი წიგნია




**„რამდენი რამის თქმა შესაძლებია, თურმე, ძაფს უნარიანი ოსტატის ხელში“, თქვა ერთხელ ცნობილმა მწერალმა და პუბლიცისტმა ნოდარ ტაბიძემ, როცა გორის სახელმწიფო თეატრში გამოფენილ მხატვარ ოლია ბრაგვაძის ნაქარგობას გაეცნო. და, მართლაც, ქალბატონი ოლიას ხელოვნება, მისი ნამუშევრების ხიბლი და სინატიფე, კარგა ხანია აოცებს არამარტო გორის, საქართველოს სხვა ქალაქების საგამოფენო დარბაზებში მოსულ დამთვალიერებლებსაც.**

ოლია ბრაგვაძის ნაქარგები ეშხიანი და წარმტაცია. ბიბლიური სიუჟეტები, ყოფითი სცენები, პეიზაჟი, პორტრეტი... საუბარი მასზე, როგორც მხატვარზე, ცალკე საუბრის თემაა და, მოდით, სხვა დროისთვის შემოვინახოთ. ამჯერად კი ქალბატონ ოლიას, როგორც მწერალს, მივაპყროთ თვალიც და გულისყურიც.

ეს-ეს არის დაისტამბა და წიგნის მაღაზიების თაროებზე გამოჩნდა (და გაქრა კიდეც!) მწერლის ახალი კრებული **„კურცხალი ცეცხლში**. ახლა, როცა ნოველები ინტერესით ჩავიკითხე, სულ ოდნავ შევცვლი ბატონი ნოდარის ზემოთქმულს: „რამდენი რამის თქმა შესაძლებია, თურმე კალამს უნარიანი ოსტატის ხელში“.

რაზეა, ვისზეა ეს ნოველები? შენზე, ჩემზე, ჩვენებურებზე, კახეთზე — ნოველების ავტორთან „ბუნებითა შეუღლებულ“ ამ კურთხეულ მიწაზე, მის ადამიანებზე. ახლა როგორი სათუთი, ღიმილიანი, დედაშვილური გრძნობით გვიამბობს ავტორი თავისი გმირების ყოფასა და საქმიანობაზე, მოკლედ, უნდა წაიკითხოთ...

ხოლო მათ, ვინც უკვე გაეცნო ოლია ბრაგვაძის ნოველებს, ამ დღეებში თავად ავტორს მიაკითხეს შინ და იქ, საამისოდ გადაკეთებულ „ერთი მსახიობის თეატრში“ (ოლია ბრაგვაძის მეუღლე — კ. მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ოთარ ქუთათელაძე სწორედ „ის ერთი მსახიობია“!) შედგა ნოველების ახალი წიგნის წარდგენაც და მისი განხილვაც.

დამსწრე საზოგადოებრიობას თავისი მოსაზრებები გაუზიარეს პროფესორებმა თამილა გოგოლაძემ, ნოდარ ტაბიძემ, პოეტებმა მერი მარწყვიშვილმა, გიორგი ხაროზლიძემ, მხატვარმა ჟუჟუნა ვაშაგაშვილმა, პედაგოგმა ზეინაბ გამხიტაშვილმა, რეჟისორმა ანზორ გვაძაბიამ, ჟურნალისტებმა ლამარა შაყულაშვილმა, ვერიკო ბიწაძემ და სხვებმა.

ოლია ბრაგვაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ წიგნის განხილვაში მონაწილეობისთვის, ისაუბრა თავისი, როგორც მწერლისა და მხატვრის სამომავლო გეგმებზე. და მართლაც, ქალბატონი ოლია, ჭეშმარიტად, მრავალმხრივი შემოქმედია, მის უბადლო სამზარეულო ხელოვნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

**გურამ ვაშაკიძე**

დაიჯესტი

## უპასპორტო პანი

**უკრაინელმა ევგენია კუზიშკინამ ცხოვრებაში პირველი პასპორტი... 87 წლის ასაკში აიღო! სიცოცხლის თითქმის ცხრა ათეული წლის მანძილზე მან საქართველოშიც იცხოვრა და რუსეთშიც, 30 წლის წინათ კი პოლტავის ოლქში მშობლიურ სოფელში დაბრუნდა.** გასაოცარი კი ის არის, რომ ამ ხნის განმავლობაში პანი კუზიშკინასთვის პასპორტი არავის მოუკითხავს. ახლობლებმა მისთვის პირადობის მოწმობის გაკეთება იმიტომ გადაწყვიტეს, რომ ცხოვრებაში პირველი პენსიის აღება შეძლებოდა.

## ... ეს ნიშნავს, რომ კარგი მსახიობი ვარ



**საქვეყნოდ ცნობილ კინოვარსკვლავს პენელოპა კრუსს თურმე თავი სუპერსექსუალური სულაც არ ჰგონია.**

— ერთხელ ჟურნალმა „ფიტნესმა“ „საუკეთესო სხეულის“ ჯილდო მომანიჭა, მაგრამ მისი მიღება შემრცხვა, — ამბობს პენელოპა. — სიმართლე გითხრათ, სულაც არა მაქვს საუცხოო სხეული, თუმცა რადგან ხალხი ასე ფიქრობს, მაშასადამე კარგი მსახიობი ვარ. ისე, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, თუ გემოვნებით ჩაცმა იცით, მაშასადამე სილამაზის ზოგ ხერხს ფლობთ.

ისე კი, ვმუშაობ ყოველთვის დიდი ხალისით, ის ჩემს პიროვნულ სტატუსს ამაღლებს, ავითარებს ნიჭს, მმატებს საკუთარი ძალების რწმენას და, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, ეკონომიკურად დამოუკიდებელს მხდის.

## ორი სიტყვით ერთის შესახებ

**11 იანვარს, გაეროსა და იუნესკოს ინიციატივით, მსოფლიოში „მადლობის“ დღეს აღნიშნავენ;**

* * *

**ოფიციანტებისთვის ნათქვამი „მადლობა“ მომსახურების სისწრაფესა და ხარისხს ამაღლებს.**

* * *

**მომსახურეთა მხოლოდ 16 პროცენტისთვის ნიშნავს რაღაცას უფროსობის სიტყვიერად გამოხატული მადლიერება.**

* * *

**ცოტა ხანში ბერლინის ქუჩებში... მოლაპარაკე ურნებს დადგამენ, რომლებიც სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა სიტყვებით მადლობას გადაიხდიან მათში ჩაგდებული ნაგვის გამო.**

* * *

**სამხრეთ კორეაში თითქმის არასდროს იხდიან მადლობას, რათა დახმარების გამწევი ადამიანი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენონ.**

* * *

**ყველაზე ხშირად მადლობას იხდიან ნიუ-იორკში, ყველაზე იშვიათად კი — ბომბეიში. მეგაპოლისის რეიტინგში მოსკოვი, რომელიც თავს დიდად იწონებს მცხოვრებთა თავაზიანობით, 30-ე ადგილზე გავიდა.**

მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**



**შვილები თინა, მარინა დავითაშვილები, შვილიშვილები გიორგი, ეკა ჯანაშიები, ნინო ჩხიკვაძე, შვილთაშვილები თამაზ, თინა პატარიძეები, სიძეები ლაური ჯანაშია, აჩიკო პატარიძე, ცოლისძმები მიშიკო, გოგი კობეშავიძეები ოჯახებით, მძახლები შორენა, თამაზ პატარიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**თეიმურაზ ნიკოლოზის ძე დავითაშვილი**

**პანაშვიდი 20, 21 VII, 17 სთ. ირაკლი აბაშიძის, 37, დაკრძალვა 22 VII, 15 სთ. ვერის სასაფლაოს წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიიდან.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამ გაზეთის მეგობარს და კარგ პიროვნებას ლაური ჯანაშიას სიმამრის**

**თეიმურაზ დავითაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**შვილები ნანა, ნინო, ლალი ჯაკობიები, შვილიშვილები ბაჩო, ნიტა გელაზონიები, ნანუკა, ანი კოშაძეები, სიძე ზაზა კოშაძე იუწყებიან**

**ლამარა წულეისკირი-ჯაკობიას**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21 VII, 17 სთ. დაკრძალვა 22 VII, 15 სთ. მისამართი: იოსებიძის ქ. 72ბ. მე-6 სადარბაზო.**

---

**საქართველოს კუროროლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ადმინისტრაცია და თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ცენტრის მთავარ ექიმს, ქალბატონ ნანა ჯაკობიას დედის**

**ლამარა წულეისკირი-ჯაკობიას**

**გარდაცვალების გამო.**

ჩვენი კარაბადინი

## მიკოზები

**სოკოვანი დაავადებანი (მიკოზები) ყველაზე ხშირად ფეხის ტერფებსა და თითებს აზიანებენ — მიკროორგანიზმები თითებს შორის თბილ და ოდნავ ნესტიან გარემოში და კანის ნაკეცებში განსაკუთრებულად კომფორტულად გრძნობენ თავს.**

**დასნებოვნების წყარო.** სოკოვანი სპორები შეიძლება ჩაუსაფრდნენ თქვენს ფეხებს სარბენ ბილიკზე ან ფიტნეს-კლუბის ხალიჩაზე, აუზში, სპორტდარბაზში, ქვიშაზე, სადაც სხვები დადიოდნენ, საშხაპეში. დასნებოვნების მეორე წყაროა — ტერფების მიკოზით დაავადებული ადამიანის ფეხსაცმელი. მაგალითად, ოჯახის ჩუსტები, რომლებიც მან შეიძლება შესთავაზოს მასთან სტუმრად მისულ ნათესავს ან ნაცნობს. სოკოვანი დაავადება შეიძლება შეგეყაროს მაღაზიაშიც (დღეს რომ „მარკეტს“ ვუწოდებთ), როდესაც იზომავ ფეხსაცმელს, რომელიც სხვამ უკვე მოიზომა.

**უსაფრთხოების ზომები:** ნუ ატარებთ სხვის, ვიწრო ფეხსაცმელს, ნუ ივლით ფეხშიშველა საერთო სარგებლობის ადგილებში. აუზის ან აბანოს შემდეგ დაიმუშავეთ ფეხები იოდის 2-პროცენტიანი ხსნარით, რომელიც შეზავებული იქნება ოდეკოლონით ან 2-5-პროცენტიანი სალიცილინის სპირტით.

## პაპილომა – ვირუსი

**მეტად იოლად შეგვიძლია „ავიკიდოთ“ ზაფხულში მეჭეჭები. მათ გვიჩენს ადამიანის პაპილომის ვირუსით დაავადება. ყველაზე გავრცელებულად ითვლება ყველასთვის ნაცნობი ვულგარული (ესე იგი, მარტივი) მეჭეჭები.** ლანჩისა და ბრტყელი მეჭეჭები ჩვენს სხეულზე ჩნდება უფრო იშვიათად. და გაცილებით ძნელია მათი მკურნალობა. პირველები — თავისი სიღრმის გამო: ქუსლებსა და ტერფებზე წარმოქმნილი ლანჩის მეჭეჭები ხშირად კანში უშვებენ მაგარ, მტკივნეულ ფესვებს. მეორენი — დაზიანების დიდი ტერიტორიის გამო: კანის ზემოდან უმნიშვნელოდ წამოზრდილი, ბრტყელი მეჭეჭები ყველაზე ხშირად ახდენენ ლოკალიზებას ძვლების ზურგზე, მხარზე, სახეზე.

**დასნებოვნების წყარო.** მეჭეჭების ძირითადი წყაროა — ადამიანი ან საყოფაცხოვრებო ნივთები, რითაც ის სარგებლობს. დაავადებისადმი წინასწარი განწყობის ძირითადი ფაქტორია დაქვეითებული იმუნიტეტი, აგრეთვე პოტენციური მსხვერპლის ძვლებისა და ტერფების კანის გაზრდილი ოფლიანობა.

**უსაფრთხოების ზომები:** ერიდეთ კანის მიკროტრავმებს . თუ ისინი გაჩნდა, რაც შეიძლება სასწრაფოდ მოახდინეთ ნაჭრილობევის დეზინფექცია. და ნუ ისარგებლებთ სხვების საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით, ნუ ივლით ფეხშიშველა იქ, სადაც თქვენამდე ბევრი ტერფი დაიდგა. თუ მეჭეჭი გაჩნდა, ერთადერთი ხერხი გავუსწორდეთ მას — ესაა სპეციალური საცხების და პასტების წასმა, ანდა მკურნალობის უფრო რადიკალური მეთოდები: ელექტროკოაგულაცია, ლაზეროეპილაცია, მოყინვა თხევადი აზოტით.

ЗДОРОВЬЕ

ნარდი: საქართველო და დანარჩენი მსოფლიო

# გოგი ბუკიას მეოთხე მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში



2009. ტურნირის გახსნის დღეს.



შარშანდელი ტურნირის გამარჯვებული კახა ნაჭყებია.

1-5 აგვისტოს, სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“, გაიმართება გოგი ბუკიას მეოთხე მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში.

ტურნირის ორგანიზატორია ნარდის მსოფლიო ასოციაცია და მისი პრეზიდენტი ჩივა ტაფაზოლი.

ტურნირის მხარდამჭერები არიან განათლების, კულტურისა და სულიერების – საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“ (პრეზიდენტი გოდერძი ბუკია) და კაზინო „ივერია“.

გოგი ბუკიას მემორიალური ტურნირი დაფუძნდა 2007 წელს, რის შემდეგაც საქართველო ნარდის მსოფლიო ტურნირების კალენდარში ჩაერთო.

მსგავსი ტურნირი ერთადერთია პოსტსაბჭოთა სივრცეში და როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში, იმთავითვე ამ აზარტული თამაშის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

თბილისის ტურნირში მსოფლიოში ცნობილი მონარდეების სისტემატური მონაწილეობა მის პოპულარობაზე მეტყველებს.

გოგი ბუკიას მემორიალზე ყოველწლიურად იკრიბებიან აშშ-ს, გერმანიის, ავსტრიის, ისრაელის, სომხეთის, რუსეთის, თურქეთის, უკრაინის, იტალიის, ირანისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

ტურნირი იმართება ორ კატეგორიად: პროფესიონალები (ოსტატები) და ინტერმედია (მოყვარულები).

ტურნირის ფარგლებში ტარდება ასევე საჩვენებელი გუნდური შეხვედრები – საქართველო და დანარჩენი მსოფლიო.

თბილისის ტურნირის შესახებ გამოხმაურებები ქვეყნდება სპეციალურ ჟურნალებსა და ინტერნეტგვერდებზე.

გოგი ბუკიას მემორიალური ტურნირი წლეულს პირველად პირდაპირ გადაიცემა ინტერნეტით.

საქართველოში ნარდის კულტურის პოპულარობისა და ასევე თავად გოგი ბუკიას, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტის ხსოვნისადმი კოლეგიალობის შედეგია, რომ ტურნირი სისტემატურად შუქდება ქართულ მედიაში, განსაკუთრებით კი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რადგანაც ნიჭიერი ჟურნალისტი და ნარდის ტრფიალი გოგი ბუკია ჩვენი ოჯახის ღირსეული წევრი, წლების განმავლობაში გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი იყო.




მაშ ასე, კიდევ ერთი საინტერესო ტურნირის მოსაგებად მოემზადეთ, ნარდის მოყვარულებო! ტურნირთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დარეკოთ – ტელ: 251074, 877453882 მარინა მიქაძე.

ჯემალ კასრაძის ფოტო.



ხობის გამგეობის საგანგებო პრიზი სომეხ მონარდეებს – ტურნირის ერთგულებისათვის.



ჩივა ტაფაზოლი კიდევ ერთ უცხოელს ულოცავს გამარჯვებას.



ნარდის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი ჩივა ტაფაზოლი და ტურნირის დამფუძნებელი გოდერძი ბუკია.

## ანეკდოტები

– ღმერთო ჩემო, ამას ვის ვხედავ! ისაკ მოსეს ძევ!

– მე ისაკ დავითის ძე ვარ.

– ახლა თქვენ მასწავლით, რა ერქვა მამათქვენს? მე მას ბავშვობიდან ვიცნობდი! ლამაზი იყო, მაღალი, კულულებიანი.

– არაფერიც. მამაჩემი დაბალი და მელოტი იყო.

– ეშმაკმაც წამიღოს, თუ თქვენ საერთოდ იცოდეთ, ვინ იყო მამათქვენი!..

* * *

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა რუსეთის პრეზიდენტს აჩუქა ელექტრონული სათამაშო. იმის გარდა, რომ ითხოვს საჭმელს, სასმელს და გართობას, ის გამუდმებით სთხოვს მედვედევს კურილიის კუნძულების დაბრუნებას.



– მიხო, გავიგე, დაქორწინებულხარ. მომილოცავს! ბედნიერი ხარ?

– სხვა რა გზა მაქვს?..

* * *

ტიპი ფსიქიატრთან მივიდა, ჩემი ცოლი ძილში ლაპარაკობსო.

– მაინც რას ლაპარაკობს?

– არა, ბიჭიკო, არაო!

– თქვენ ბიჭიკო გქვიათ?

– არა.

– მაშინ, სანამ თქვენი ცოლი ბიჭიკოს უარს ეუბნება, სანერვიულო არაფერი გაქვთ.

* * *

– მიხო, რა ყვირილ-კივილის ხმა გამოდიოდა წუხელ შენი ბინიდან?

– სიდედრს კბილი რომ ასტკივდება, მუდამ ასე კივის ხოლმე. შენს სიდედრს როგორი კბილები აქვს?

– არ ვიცი, ჯერ არ უკბენია.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8460 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3475 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8338 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9470 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0142 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2828 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3217 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1789 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7095 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +23 – +33 |
| ქუთაისი. | +22 – +26 |
| ბათუმი. | +21 – +25 |
| ზუგდიდი. | +21 – +25 |
| თელავი. | +20 – +29 |

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.